საყმაწვილო ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპალდული

№ 1



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საახალწლო ნატვრა თანდილასი..—დუქსი შ. მდივანმეფლისა. 3

II—ახალწლის შეხვედრა სოფელში.—ცქვიტისა. . . . 5

III—ბულბული დღე რატომ აღარ გალობს.—დუქსი თ. რაზიკაშვილისა 17

IV—ნაძვის ხე.—თ. კანდელაკისა 21

V—წმ. ვერონიკას ჩადრი.—ლეგენდა სენმა ლაგერლეფისა თარგმანი ბავ. დ—ძისა 27

VI—სამშობლო ქვეყანა.—ალ. ეიფშიძისა 37

VII—ეპისკოპოსი ალექსანდრე.—ალ. ეიფშიძისა . . . 45

VIII—წერილები ფიზიოლოგიიდგან.—ივ. გომართელისა . 50

IX—ბოტანიკური საუბარი.— 55

X—მითოლოგია.—ტროადის ომი. ს. მიქაბერიძისა . . . 60

XI—ა) გასართობი ს. რომანიშვილისა,—ბ) ჯიუტი მგზავრები თარგმანი ვასო ჯაფარიძისა,—გ) გამოცანები,—დ) რებუსი. 61

XII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა
I—ალი და ქაჯანი. ქ. ე—ანისა.
II.—ბილილა და ლამანა ი. მ.—ისა

ნაკადული № 1

საყმაწვილო ჟურნალი

3.23
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ... ამხანაგობისა.
1908

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საახალწლო ნატვრა თანდილასი..—დექსი შ. მდვიმელისა. 3

II—ახალწლის შეხვედრა სოფელში.—ცქვიტისა. 5

III—ბულბული დღე, რატომ აღარ გალობს.—დექსი ო. რაზიკაშვილისა 17

IV—ნაძვის ხე.—ო. კანდელაკისა 21

V—წმ. ვერონიკას ჩადრი.—ლეგენდა სელმა ლაგერლეფისა თარგმანი პავ. დ—ძისა 27

VI—სამშობლო ქვეყანა.—ალ. ეიფშიძისა 37

VII—ეპისკოპოსი ალექსანდრე.—ალ. ეიფშიძისა . . . 45

VIII—წერილები ფიზიოლოგიიდგან.—ივ. გომართელისა . 50

IX—ბოტანიკური საუბარი.— 55

X—მითოლოგია.—ტროადის ომი. ს. მიქაბერიძისა . . . 60

XI—ა) გასართობი ს. რომანიშვილისა,—ბ) ჯიუტი მგზავრები თარგმანი ვასო ჯაფარიძისა,—გ) გამოცანები,—დ) რებუსი. 61

XII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა
I—ალი და ქაჯანა ქ. ე—ანისა.
II.—ჟილილა და დამანა ი. მ.—ისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

2/9.

საახალწლო ნაცვრის თანდილასი

ატრულობს ჩვენი თანდილა
კარგ ხარ-კამეჩის ყოლასა,
ახალ გუთანს და ხაკვეთსა,
შრომით მიწასთან ბრძოლასა;

ქვითკირით ჩადგმულ საბძელსა,
წინ შემოკვერცხლილ კალოსა,
ბლომად სახნავს და სათესსა,
ანეულსა და ალოსა,

სახლის წინ კოხტა ბეღელსა,
თბილსა და ფართო ბოსელსა,
რომ უფრო კარგა დაუხვდეს
სტუმრად მიმსვლელს და მომსვლელსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატრულობს ულლის მოხსნასა,
ყველგან წელ-გაშლით გავლასა,
სკოლაში დაზრდას შვილების
და იმათ ბეჯით სწავლასა.

ნატრობს და უმზერს თანდილა
ტკბილად გიზგიზა ბუხარსა;
ღმერთო, კვლავ ნულარ გვაჩვენებ
თანდილას გულით მწუხარსა!!...

შ. მღვიმელი

ახალ-წლის შეხვედრა სოფელში

ემოიტა, შემოიტა, გენაცვა, ე კუნძები აქა. ასეთი ცეცხლი დავაგუზგუზო, რომ იმისმა სითბომ მთელ ზამთარს გაგვტანოს. ბარაქალა ბიჭო, ძაან ზორბა გუდურებს ბორევიხარ. —წააქეზა მამამ ლექსო და გათოშილ-გაყინულ ბიჭს კარებში შეშა ჩამოართვა.

— ეჰ, ამი რჯულიც დაიქცა! მე-კი ჩემი დამემართა ი ვერანა ყინვისაგან და ნეტავი მართლა იმადა ღირდეს.—წაიბუზღუნა გაბრაზებულმა ლექსომ და თოვლიანი ფეხები იქვე შეიბერტყა.

— უი შენ დედასა, შვილო, გაიყინე განა, მოდი გენაცვალე, გათბი. აი აქ დაჯექი. ადე, გოგო! ადე, ჩამოეცალე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე სავარმე, ვერა ხედავ, როგორ გალურჯებულა ეს დედა მკვდარი — დაფაცურდა განო და მეტის პატივის ცემით დაძონძილი მუთაქა ცეცხლის პირას დაუდო. გოგოები ადგილიდგან ჩამოეცალნენ და ბუხრის მეორე მხარეს ფიჩხის ცოცხზედ საცოდავად მოიკუნტნენ. ლექსომ დაჯდომა ძლივს მოახერხა, მაგრამ ხელები ისე ჰქონდა დაბუხული, რომ დასველებულ და ზედ შეყინულ ყაბალახს ველარ იხსნიდა.

— ე... ე... ეს ტიალი თითები როგორ მეწვის, აი შენ გაოხრდი, კაი სიცივე შენა ხარ! — წარმოსთქვა ახლა-კი ტირილის ხმაზედ და სიმწარით ხელები ცხელ ნაცარში წაყო.

— უი შვილო, ე ნაცარი უფრო დაგწვამს. ისევ თოვლში წაგეყო, უფრო მალე მოგილხვებოდა, აი ეხლავ შემოგიტან. — მიუბრუნდა განო და თოვლისათვის გარედ გატრიალდა.

— ჩამომეცალე გოგო, ჩამომეცალეთ მეთქი მანდედანა, ასეთი ცეცხლი დავაგუზგუზო, რომ სიცხისაგან უკან იწევდეთ, დამაცათ პატარა! — ამხნევებდა მეტი ჯაფისაგან მოლეული და გაჭაღარავებული, ჯერ მხოლოდ შუა ხნის იაგორა და სველ კუნძებს ერთი მეორეზედ ცეცხლს უდებდა.

ახალ-წლის საღამო დგებოდა. გარედ დიდი ყინვა იყო და თან ისეთი მძლავრი ქარი ჰქროდა, გეგონებოდათ ქვეყნიერებას დანგრევას უპირებსო. იაგორას ბუხარში-კი ამ დროს ისეთი ცეცხლი ბურბურებდა, რომ უნებლივ ახლო დგომა და გათბობა მოგინდებოდათ. გარშემო ცეცხლს მთელი ოჯახი შემოსხდომოდა და ხელ-ფეხი ცეცხლისაკენ გასათბობად წაეშვირათ. სახეზედ სიხარული და ბედნიერება ემჩნეოდათ. აქამომდე დაბუხულ-დაკრუნჩხული ლექსო, ახლა ყველაზედ მეტს ოხუნჯობდა და სიხარულით ხვალისათვის გამალებული ბატიბუტსა ხალავდა. ფილზედ წამოსკუპული იაგორა თონეში დაბრაწულ ცხელ-ცხელ გოგრას ნაჭრობლივ ხონჩაზედ პირის ჩასატკბანურებლად და სტუმრების დასახვედრად ამზადებდა. ბაგაზედ დაბმულ საქონელსაც ნამეტანად ესიამოვნებოდა ცეცხლის შუქი და სითბო, რადგანაც ყველას, წარმოიდგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ ზანტ ვაშლასაც-კი, კისრები ცეცხლისკენ მოეღოთ და მძიმე ხვნეშით შესცქეროდნენ. დიდ შეღავათს უწევდა ზამთარში საქონელი იაგორას ოჯახს, რადგანაც დანესტიანებულ და მიწაში ჩამძვრალ დიდ დარბაზს საქონელი ღუმელივით უთბობდა და მათი ბედნიერებაც ეს იყო. მართალია ცუდი სუნი და საქონლის ოშხივარი იქაურობას ჰბურავდა, მაგრამ ისინი ამას არც-კი გრძნობდნენ, რადგანაც ამ ყოფაში იყვნენ დაბადებულნი და ესევე იხოცებოდნენ. ბაგის მეორე მხარეს კედელთან ბოძსა და ბოძ შუა ნახევრად დაფენილ დიდ ტახტზედ წამოჭიმული განოს ძველი მზითვის სკივრიც ცეცხლის შუქზედ საამურად ელვარებდა და იქაურობას ეს ერთად ერთი მორთულობა მართლა რომ შნოსა და ლაზათს აძლევდა. ცეცხლი-კი უფრო ძლიერდებოდა და უფრო მეტ სიხარულს და სინათლეს ჰფენდა.

— ე კუნძი კიდეც ჩაიწვა; ახლა-კი დროა, რომ დავიწყოთ, აქ დახე ამასა... წარმოსთქვა ლექსომ და ერთი ჩაკვრით კუნძს მრავალი ნაპერწკალი ააღინა.

— მოიტა ე ჯოხი, შვილო, აქა, თქვენც ყური დამიგდეთ.

ჩამოართვა იაგორამ თავკომბალა ჯოხი და მუგუზალს ბრაგა-ბრუგი აუტეხა, რის გამოც უთვალავი ნაპერწკალი ტკაცა ტკუცით ასდიოდა და იაგორას ლოცვა-კურთხევაც თან მისდევდა:

— ღმერთო, შენ დამასწარ მრავალ ამ დროს ჩემი საწყალი ცოლ-შვილით, ჯანის სისაღით და ბედნიერებით. მომეცი ამდენი უღელი კამეჩი, ამდენიც ძროხა, ხარი, ღორი, ცხვარი, ინდოური, ქათამი, ბატი. ნუ მომაკლებ შენს წყალობას, წმინდა ვასილის მადლო,—დაამთავრა იაგორამ და ჯოხი ისევ ლექსას გადასცა.

— აქ მოდი, დედი, ახლა შენი ჯერია, მოდი თორემ აღარ მოგიცდი და მე ჩამოვილოცები,—მიუბრუნდა ლექსო განოს, რომელიც ამ დროს თაროსთან გამალებული ფუსფუსებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ჩამოილოცე, ერთი სიტყვით, სწორე მოგახსენო, ძალიან შეგისრულდება. შარშან თუ მთელი ერთი საათი კუნძებს ვუჩიჩხვირებდი და ერთ ჯოგ წვრილ-ფეხობას ვნატრობდი, აკი იმიტომ წრეულს ჩემი საცოდაობით გამოკვებილი რვა ჭუკი ჭირმა ვერ გამიჟუჟა აი! ერთი ხრინწიანი მამალი გადამრჩა, მიხაროდა, რომ დროს გასაგებად მაინც მეყოლება მეთქი და ისიც იმ დღეს ი წყეულმა მელამ მომტაცა. ეს არის თქვენი ნატვრის ასრულება? მე მაგ სისულელეებისა აღარა მჯერა რა. ეს არის დაჩვეულები ვართ, თორემ სულ ტყუილი ყოფილა. თქვენ რაც გინდათ უყავით, მე-კი მომწყინდა ამ ორმოცი წლის განმომავლობაში ამდენი ტყუილ-უბრალო ნატვრა.—უპასუხა განომ და ხონჩაზედ აბრამიანის მზადებას შეუდგა.

— ღმერთო და წმინდა ვასილის მადლო, შენ შეგვეწიე და დაგვასწარ მრავალ ამ დროსა. მოგვეცი ამდენი ხარ-კამეჩი, ამდენი დღეგრძელობა, ამდენი გუთნეულობა, ამდენი ბეღელი ხორბლითა, ამდენიც სიმინდითა, ერთი სიტყვით ჩვენც გვაწვნეინე ი სიმდიდრე შენი მადლის ჭირიმე,—ილოცებოდა გულიანად ლექსა და კუნძებს გამალებული უჩიჩხვირებდა.

ამ ნაირად ყველამ რიგ-რიგად ჩამოილოცა და ახლა ჯერი სამი წლის თებროზედ მიდგა, რომელიც თავისი წილი გოგრით და პატარა ბედის კვერით მამას მუხლებთან ამოსჯდომოდა და გულიანად ნაცრიან ბატი-ბუტს აკნატუნებდა.

— აბა თებრო, შენი ჯერია, გენაცვალე, ახლა შენ ინატრე, აჰა აი ჯოხი.

— ვინატრ.. ო? მერე რა ვინატრო? ჰო, მოიცა, მე ვიცი რაცა, ბაბუცა მიოცოცხლე-მეთქი, არა? კიდევ ამდენი ხანი დედა მიოცოცხლე, ამდენი ჩუსტები მოგვეცი,—თოვლში ფეხები მეყინება,—ამდენი ფულები,—დააყარა თებრომ და მუგუზალს-კი მხოლოდ ერთხელ დაარტყა და ისიც ისე ულონოდ, რომ სამი ნაპერწკალის მეტი არ ავარდნია.

— უი შე უბედურო, ეგ რა ქენი?! სამი წლის მეტი არ უნდა იცოცხლოს დედამ! ჩაჰკა მაგრა, რომ ნაპერწკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავარდეს!—მისცვივდნენ აქეთ იქიდგან სიცილ-ხარხარით გოგოები და იმის მაგივრად კუნძს ცემა თვითონ დაუწყეს.

ცეცხლი თან და თან ნელდებოდა. დაუყენებელ და მოქანცულ გოგოებსაც ძილი ერეოდათ. განოც ის იყო მორჩა ფუსფუსს, გაამზადა აბრამიანი და ლოგინის მსგავსი ძონძები ტახტზედ დაფინა.

— ადექით, შვილო, და ახლა დავიძინოთ, ხომ იცით ხვალ უნდა ადრე ავდგეთ. სირცხვილია, მოვა ვინმე მოსალოცად. შენ ეი, მეკვლე, აბა შვილო, ტყუილად ძილს რადა სცდები, უძილოს და მოღლილს შუაღამისას დაგეზარება ადგომა და შენი აბრამიანი-კი ისე დამრჩება.—მიუბრუნდა განო შვილებს და საძილედ ყველანი წამორეკა. ბავშვებმა უკანასკნელად აბრამიანს მიუალერსეს: ზოგმა ბასილას აკოცა, ზოგი ლორის თავს ელრიჯებოდა, თებრომ ჩუმად თაფლს თითი ამოჰკრა და შემდეგ ლოგინში ჩაძვრენისათანავე გულიანი ხვრინვა ამოუშვა.

* * *

შუა ღამე კიდეც მოახლოვდა, მაგრამ იაგორას ოჯახ'ი-კი ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. აქამომდე აბურბურებული ცეცხლი, ახლა ოდნავ-ღა ჩუოდა, მხოლოდ ქარის ყოველ დაქროლაზედ მომაკვდავივით უეცრად თვალებს აჭყეტდა და შემდეგ ისევ იფერფლებოდა. უი... ვაი... ვაა... გულსაკლავად აკვნესებდა ბუხარს ზენა ქარი და მისი კვნესა, რომელიც ბავშვის გულ-ამოსკვნილ ტირილს წაგავდა, პაწია თებროს ძილში ბუტ-ბუტს უერთდებოდა. კუთხეში, ბუხართან, სანათი ოდნავ ბჟუტავდა და მის შუქზედ დოინჯ შემოკრული შავი ბასილა ხონჩაზედ გამზადებულ აბრამიანს ამაყად თავს დაჰყურებდა. მისი მიჭეჭყილი ნიგვზის ცხვირი და მიმწვარი ჩამიჩის შავი თვალები ერთი შეხედვით ადამიანს ძრწოლას და სიცილს მოჰგვრიდა, მაგრამ დღეს კი ეს იყო აქ ბატონი, ამის სახელით, ლოცვა-კურთხევით და სიხარულით ხალხი ერთმანეთს უნდა შეჰგებებოდა... და აგერ კიდეც დრო მოახლოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ჟამმა მოაღწია და თითქოს ამ.ს ნიშნად უეცრად ქარმა ისე მკაცრად დაჰგრიალა, რომ მთელი ბანი შეანძრია; ბუხარი უფრო ხმა მაღლა ააღრიალა და ჩამქრალ ცეცხლს უკანასკნელად თვალი კიდევ ააბელინა. ბოძზედ ჩამოკიდულმა შემჭვარტლულმა ორსიმიანმა ჩონგურმა ჭერიდგან ჩამოვარდნილი კენჭისგან უეცრად შეიწკრიალა, ვაშლამ მძიმედ ამოიოხრა და ბრაგა ბრუგით ზეზე წამოდგა. ამ დროს მამალმაც კედელს იქით ძიას ბოსელში ფრთები მძლავრად შემოჰკრა და თვის ყივილით ახალ-წლის მოვლინება ქვეყანას ამცნო. ბასილას მეტი სიამაყით ხონჩაზედ ფეხი დაუსხლტა და იქვე თაროზედ ჯამ-ჭურჭელი აახმაურა.

— არიქა, ბიძია, მომილოცავს ახალი-წელიწადი.—წამოიძახა უეცრად ძილში ლექსომ და გულიანად გადიხარხარა.

— ჰო, სწორედ მოლოცვის დროა. ადე, გენაცვალე, ჩვენო მეკვლე! ძილში რომ ილოცები, ახლა ცხადლივაც მოგვილოცე, აგერ მამალი რა რიგად ყივის.—ჩასძახა ლექსოს სიცილზევე გამოღვიძებულმა განომ და თან-კი საბანი წახურა. ლექსო ჯერ უგემურად გაიზმორა, თბილ ძონძებიდგან ადგომა ეზარებოდა, მაგრამ ბასილა და აბრამიანი გაახსენდა თუ არა, ფიცხლავ ზეზე წამოხტა და ფაცა-ფუცით ჩაცმა დაიწყო. მალე მის ხმაურობაზედ და ყიჟინაზედ მთელმა ოჯახმა გამოიღვიძა. განომ სამი ყვითელი წმინდა სანთელი აუნთო და ხონჩას მიუკრა, შემდეგ სასოებით პირჯვარი გადიწერა და მეკვლეს გზა დაულოცა:

— აბა, ბიჭო, კაი ფეხი შემოგვიტანე, თორემ ფეხებს შემოგალეწავ.

— ფეხი რა, თოვლში ვინმე გამომიცვლის თუ რა არის! რაც დახეთქილი და დაგლეჯილი ქალამნიანი ფეხები მაქვს, იმას შემოვიტან. იხუმრა ლექსომ და გამოსვლის დროს კიდევ დაუმატა:—აბა პირი ყველას დაღებული გქონდეთ, ახლავე მოვალ და დაგაბერებთ, მერე-კი თქვენი დარდი აღარ მექნება. უნდა ვიქეიფო.—ბაბუაც ტიტველა კანჭებით, ფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტების ამარა, საღვინით უკან დაედევნა. ქარი ოდნავ-ოდნავ ზუნებდა. მოკრიალებულ ცაზედ მოციმციმე ვარსკვლავები და გაკაშკაშებული მთვარე თეთრად შებორბნილ სოფელს თითქოს სიცილით და სიამით დასჩერებოდა. მთლად გაყინული წყალი და მისი ნაპირები მთვარის შუქზედ საამურად ბდღვრიალებდნენ. სპეტაკი თოვლი მეტის-მეტად აჩაღებდა არე-მარეს. გარშემო-კი ყველაფერი სდუმდა.

— იჰ, შენი გულისა, რა გაჩაღებულია აქაურობა, დღეს არა ჰგავს! ებეი, ერთი ამ ჩვენ კიკიროზიან პაპას უყურე, რა რიგად დგას. იჰ, რა ლამაზია! მომილოცავს, პაპა, ახალი წელიწადი, მოდი ერთი ჩურჩხელით დაგაბერო და კიდეც

გაკოცო, მიუბრუნდა იქვე კარებთან აკოკოლავებულ თოვლის კაცს, რომელიც მთვარის შუქზედ მოჩვენებას წააგავდა თავის დაფხრეწილ კარტუზიან ქუდით და გაბარჭყულ ხელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასწი, ბიჭო, ჩქარა შემოვუაროთ, თორემ მციცა, რა დროს პაპაა, ხვალ იმდენი აკოცე, სანამ ტუჩები ზედ შეგეყინებოდეს — დაიჩქარა ბაბუცამ და ფლოსტების ჩლატა-ჩლუტით წინ გასწია. ბავშვებმა გაიარეს საბძლისკენ, შემდეგ ვენახს დაუპირდაპირდნენ და სახლს უკან მოექცნენ. — უიმე, ეხლა რომ მგელი გამოვარდეს, ცუდად არ გეცემა ე მა კანჭებში. — ჩასჩურჩულა ლექსომ და თან ფეხი ააჩქარა.

— ი, ახლა ეგა სთქვი, გიჟო! მაგრამ, შე საწყალო, ბრალი შენი, რომ ხონჩა აკიდებული ხარ, თორემ მე რა მიშავს, ასეთს მოვძუძგამ რომ... უპასუხა შიშისაგან და სიცივისაგან ათრთოლებულმა ბაბომ და ერთს წამს სახლში ბღლადანი შეიტანა.

ლექსო-კი ჯერ დერეფანში შეჩერდა, ჩამქრალი სანთლები ისევ აანთო და კარებიდგანვე შემოილოცა:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემიკვალი ანგელოზისა. ღმერთო და წმინდა ვასილის მადლო, შენ დაასწარ ე მამიჩემის ოჯახი მრავალ ამ დროსა, სიხარულით, ბედნიერებით, ჯანის სისალით. ნუ მოგვაკლებ შენს ბარაქასა, აგვივსე სახლი პურითა, ღვინითა, მტერი პირქვე დაგვიმხე, მოკეთე გაგვიძლერე. ერთი სიტყვით ღმერთი იყვეს თქვენი შემწე. მომილოცავს ახლა-კი ახალი წელიწადი! — დაამთავრა ლექსომ და გაჩაღებული აბრამიანი ხელ-ახლა აპრიალებულ ცეცხლთან სამფეხა სკამზედ დასდო; მერე ბედის კვერის ლუკმები თაფლით ფიალაში ჩაჰყარა და ყველანი სათითაოდ ლოგინში დააბერა.

— ესე ტკბილად დამიბერდი, თებრა, დახე რა დიდი ლუკმაა, ბედი გქონია, გოგო აი — მიულოცა სულ-ყველაზედ ბოლოს თებროს, რომელიც სიხარულით ზეზე წამოიჭრა და პირთან ერთად მეტი სიამოვნებით თვალებიც ძალზე დაკარკლა.

— იჰ, რა გემრიელია! ლექსო, შენი ჭირიმე, ერთიცა, ერთი ბეწვა კიდევ, თავშემოგევლე.

ლექსომ ერთი ლუკმა კიდევ ჩაუდო და ახლა საქონელთანაც გაქანდა. — უი, ჩემო ყოყინა, შენთვისაც მომილოცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელიწადი. აჰ, განა შენ-კი გაწყენს თაფლოვანი დიდ-
რება — მოეხვია ყელზედ პატარა ზაქს, ცხვირზე მაგრა აკოცა
და თაფლიანი პური პირში ჩაუდო. ზაქმა ჯერ ფრუტუნი
მორთო, მაგრამ რა-კი გემო გაიღო, უკან აედევნა და ხელე-
ბის ლოკვა დაუწყო. როდესაც საქონელსაც მიულოცა და
მიუალერსა, ლექსომ ტახტ ქვეშიდგან გეჯა გამოათრია, აბრა-
მიანთან ცეცხლის პირად გადმობრუნებული დასდო და ახლა
ქეიფს შეუდგა, გვერდით ბაბუცა მოისვა; პირდაპირ ფილზედ
მოუთმენელი თებრო წამოსკუპდა და გაჩაღდა ნადიმი. ჯერ
ლორის თავს ყურები ჩამოათალეს, მერე თითო ნაჭერი ხორცი
მიირთვეს და ბოლოს ჩურჩხლითა და ფშატით ყელი ჩაიტ-
კბანურეს. თამადამ, ლექსომ, გადუსვა თუ არა ორი ჭიქა
ღვინო, ზეზე წამოხტა, პირით დაკრულ „ბუზიკაზე“ შეიკუნ-
ტრუშა, და მერე ბოძიდგან ჩონგური ჩამოიღო და შემოს-
ძახა:

მე ტიტიკო მღებრიშვილი
ზაქარიას ძეო,
თუ-კი ეს ბედი მეწერა
რად დავიბადეო?...

ცქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობლის ვარსკვლავი

(ვუძღვნი კოტიკოს)

ყინვიანი ღამე იყო, სასტიკი და მძაფრი ზამთრის ღამე. ყველანი შინ შელალულიყვნენ სიცივის შიშით. დედამიწაც-კი მოკუნტულიყო, თითქო თბილ კუნჭულს ეძებს სადმეო.

ურიასტანი თრდოდა, რაღაც უჩვეულებრივო სახეს იღებდა, ვარსკვლავნი დიდებულად ციმციმებდნენ მოკრიალებულ კამარაზე.

ამ ღამეს ქვეყნად უნდა შობილიყო მესსია, მოძღვარი სიმართლისა და სიყვარულისა, პატარა იესო.

ანგელოზნი ჰგალობდნენ, მოკეკლუცეცას შეჰღალადებდნენ და თავს დასტრიალებდნენ უმწეოდ შთენილს ქვეყანას, სადაც შიმშილი, წყურვილი და სიცივე სუფევდა. ციურთა „მაღალთა შინა“-ს უერთდებოდა კვნესა და გოდება უბედურთა; ჰხარობდა ზეცა, გლოვისა და ვაების სუდარში გახვეული იყო ქვეყანა.

ფრთა გაშლილი ანგელოზები ხან ერთ სახლში შეიფრთქიალებდნენ, ხან მეორეში, „ქვეყნიურთ ზეციურთა ზეიმსა და ზარს უზიარებდნენ:“ „ბედნიერება და სიხარული ქვეყნიურთაო“ ჰგალობდნენ ცის შვილნი, მაგრამ სამხიარულო ღაღადისს მშიერთა და შიშველთა კვნესა უერთდებოდა, საზეიმო ცქრიალსა და ნავარდს გათოშილ ძვალთა თრთოლვა და კანკალი ეხმაწყობრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუც ივდითის ქოხში, დანაღვლებულ კერის პირას, ერთ-ერთ-ული მოჰკრა ანგელოზმა პაწაწა ჩუსტებს, სველსა და ბინ-ლერთილს. საცოდავ ობლის ჩუსტები იყო, გასაშრობად დაწ-ყობილი კერის პირად.

პაწაწა ობოლი სუროსავით მიტმასვნოდა მოხუც დიდ-ედის გამხმარსა და გათოშვილს მკერდს, ორივე საბრალოთ მოკრუნჩხულიყო ძონძად ქცეულ საბნის ქვეშ და, უმწეოთ, უსასოდ ჩასძინებოდათ. უპატრონონი იყვნენ, კარ და კარ საზრდოს მაძიებელნი, უნუგეშონი და უარარაონი ამ მძაფრ ზამთარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თახჩა ცარიელი იყო, პურის ნამცეციც-კი არსად ჩანდა. ბოვებოდა... სიკვდილის აჩრდილი მისდგომოდა ამ უბედურთა სადგომს.

ანგელოზმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, ცისკენ აინავარდა, მოსწყვიტა ცას ვარსკვლავი და, ბაჯაღლოდ ქცეული, ობლის დაფლეთილ ჩუსტში ჩააგდო.

— შენც გაიხარე, პატარავ, ქრისტე იშვა!.. დასძახა ფრთოსანმა და ბეთლემის მღვიმეს მიაშურა...

ციურნი ღაღადებდნენ და თავს დასცქრიალებდნენ ახლად შობილს მესსიას და იმის დედას, რომელსაც ხელთუქმნელი გვირგვინი შარავანდედით მოსილ ჯიღად დასდგომოდა სპეტაკ თავზე.

ცა ელვარებდა, კიდითი-კიდე ალილუიას იმეორებდა, ხოლო კეთილი ანგელოზი, თითქო მოქანცულიაო, საერთო გალობას ხმას ველარ უმწყობრებდა: ცას ვარსკვლავი მოსტაცა და გულში მანკად ჰქონდა... თავი დამნაშავედ მიაჩნდა...

ახლად შობილმა მესსიამ თავისი პაწაწა ფუნჩულა ხელი დედის ბრწყინვალე გვირგვინს წაუპოტინა, მოჰგლიჯა საუკეთესო თვალი და ცელქურ ღიმილით გაუწოდა მოწყენილ ანგელოზს.

ფრთოსანმა მსწრაფლად გააპო კამარა და ზეცას მიუბრუნა ძვირფასი საჩუქარი.

მას აქეთ ეს ვარსკვლავი ობლის ვარსკვლავად იწოდება და განსხვავებულად მოკიანობს ცის გუმბათზე.

განდეგილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულგული დღე რატომ აღარ გალობს.

ვუძღვნი ბ. მირიანაშვილს.

(ლეგენდა)

წინდელ დროში ბულბული
გალობდა დღისით-მზისითა,
ღამე კი ტკბილად ეძინა
ჯაგვში ციცუნას შიშითა.

დღე დიდებულ მზეს ამკობდა,
შესტრფიალებდა, ხარობდა,
ამბობდა ქებათ-ქებასა,
„დიდება შენდა“-ს გალობდა.

და ქვეყნის ცქერით დამტკბარი
თვალდახუჭული ფრთოსანი
დღის და სინათლის ტრფობითა
ვერა ძღებოდა მგოსანი.

როგორ ვთქვა, როგორ უყვარდა
ვენახი, ბალი, ბალნარი,
ტყე, ჭალა, ველი, მინდორი,
ტურფა სამშობლოს მთა-ბარი!

როგორ აქებდა, რა ხმებით,
ახალ-ახალს ჰანგს ეძებდა,
ჰანგს, იმათ შესამკობელსა...
ჰპოვებდა—გაიხარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ყველა დავიწყებოდა,
სხვას არაფერსა ზრუნავდა
სამშობლოს სიყვარულითა'
ხარობდა, კიდეც ჭმუნავდა,

და როცა დაიღლებოდა,
ფოთლებში დაიბუდებდა,
ტყის დედას ებარებოდა,
თავსაც კალთაში უდებდა.

ერთხელ, ერთ გაზაფხულის დღეს,
ვაზი რომ წალამ-რქებითა
დაბურულიყო, მტევნებსა
ზრდიდა ციური ცვრებითა,

და საზედაშო ყურძენსა
გლეხკაცს უვსებდა წვენითა,
ბულბული, ვაზზედ მჯდომარე,
დაღალულიყო სტვენითა.

და იქვე ჩასძინებოდა,
ეძინა ტკბილი ძილითა...
კატას კი სიმსუნაგითა
სული ეჭირა კბილითა.

მაგრამ-ვაზს ეშხით დამთვრალსა,
ვენახს—გავსებულს ხილითა,
გადაეწყვიტათ: მგოსანი
აღარ გაეშვათ ხელითა.

ვაზის კაუნა ბულბულსა
შემოეხვია ფეხზედა,
ვით დედას პატარა შვილი
დაჰკიდებოდეს ყელზედა.

და სანამ გაილვიძებდა,
მაგრა ულვაშით დაება.
აბა რა იცის მძინარმა
თუ რა მახეში გაება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძინა უდარდელადა,
ქვეყნისა არრა ესმოდა...
იფურჩქნებოდა ყვავილი,
ტურფა ფურცელი ესხმოდა,

მცენარე ახალ-ახალი,
მიწის გულ-მკერდზედ სხდებოდა.
ვინ იყო მესაიდუმლე,
ნეტა ვის გულსა სწვდებოდა:—

მიწაზედ მაარსებელი
თუ ვითარ გაიზდებოდა,
ან წუთისოფლის ტრიალში
რა გვარად ჩაებმებოდა?!

ეძინა მშვიდად.. ამ დროს-კი
კაუნა უფრო და უფრო
გარს ევლებოდა, ჰბოჭავდა:
მეტი სიამით დაითრო.

ასე ეგონა: ბულბული
მუდამ აქ ეყოლებოდა,
ალარ უშვებდა, ეკვროდა,
ჰკოცნიდა, ეკონებოდა.

თან ცხადად წარმოიდგენდა
მის მღერას საოცნებოსა;—
ასეთი არა სმენოდა
არც მას, არც ამის ბებოსა.

ბულბულსაც ძილი გაუკრთა,
თამამად შაიფთხრიალა,
უნდოდა თავის ხმა ტკბილი
აეგზნო, აეწკრიალა,

მაგრამ ვაჰ! დატყვევებული
ალმოჩნდა ვაზის წვერითა!
ეცადა ფეხის გახსნასა,
ვერ შესძლო ვერაფერითა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დაჯდა და დაჰკვნესა
სულ მწარე გულის საკლავი,
მოსდო ტყეს, ჭალას, ველებსა
თავის ტყვეობის ამბავი!

დაჰკვნესა, დააწკრიალა,
ჰანგი ჰანგებზედ შესცვალა.
მზეც დადგა, ყური დაუგდო,
ქვეყნისთვის აღარ ეცალა.

მაგრამ ტყვეობის სიმღერა—
კვნესა ობოლი სულისა—
ცას აკრთობს, მიწას აშინებს,
როგორც დღე აღსასრულისა!!

და იმის ხმაზედ ყოველ მხრით
მოსქდა და მოსქდა ფრთოსანი,
ათასჯერ ათი ათასი
სულ წვრილი ნისკარტოსანი;

ეცნენ კაუნას ნისკარტით,
ზოგი ბწკლით, ზოგი კლანჭითა,
წიწკნეს და წიწკნეს, ძლივს იქნა,
გაგლიჯეს უფლის მადლითა,
და ტყეს თავისი მგოსანი
მიუძღვნეს თავის ჰანგითა!

—

მას აქეთ შეშინებული
აღარა გალობს დღისითა,
აღარცა ჯდება ვაზზედა
ცელქი კაუნას შიშითა.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაძვის ხე

ბუის პირას იდგა ნაძვის ხე. ბევრი სიამისა და კაი დღის მოწამე იყო ნაძვი, უფრო მეტ მწუხარებისა და შავი დღის მნახველი თავის სიცოცხლეში, მაგრამ გული არ გასტეხოდა და დაბერებულ-დაჩაჩანაკებული და სიდამპლით დაავადებული მაინც ჭარმაგად ამართულიყო გორაკზე და თავმომწონედ გასცქეროდა თვის ტომს, ნაძვნართა ახალ-თაობას. გამოფიტულ-გამოფუტურებული ყველას დაებრიყვებინა, დაბალ ლობედ გაეხადა, მაგრამ მომეტებულად კუდიანი კოდალები უჭირვებდნენ საქმეს. საცა და როცა არ ეგონა, დაასკუპდებოდა ხან ერთი, ხან მეორე, შემოურბენდა მის ტანს გარშემო და აუყენებდა რაკა-რუკს ხვედა თავით; მერე დაუწყებდნენ ხვრეტას ბურაო-ნისკარტებით დაფუტურებულ ქერქს, გამოჰყავდათ იქიდან სუქან-სუქანი მატლები და გზავნიდნენ მუცელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე აბეზრებდნენ თავს ბებერ ნაძვს კოდალები, მაგრამ იმათთვის რომ გეკითხათ, სიკეთესაც უშვრებოდნენ: აშორებდნენ ჭია-მატლებს, რომლებიც გულ-ღვიძლს უხრავდნენ და ამითი ვითომ ჰკურნავდნენ მას სნეულებისაგან. დიახ, ასე ამბობდნენ კოდალები; მაგრამ ამდენი თავში ჩაკუნიც არ შეიძლება: ნაძვიც კაცი იყო, თავზე ქუდი ეხურა, და, მართალი რომ ვსთქვათ, მაგდენ შეღავათსაც ვერ აძლევდა იმათი ექიმობა: ტანში გამჯდარი ზადი თანდათან მატულობდა. ნაძვის დღენი დათვლილი იყო! იმას-კი სიცოცხლე უნდოდა, მეტი ხნისა და მეტი სიამოვნების სიცოცხლე. მას უყვარდა მწვანედ მოსილი ძმები, უყვარდა მის ქვეშ მობიბინე ბალახი, თავისი სურნელოვანი ფისი; უყვარდა თავზე დამხობილი ცის კამარა—ხან კაშკაშ მზის სხივით და ხან წვიმის ღრუბლებით მობურვილი; უყვარდა თავისი მშობელი და მცსაზრდოვებელი პატარა ბორცვი. ნაძვის სანატრელი დღე-ღამ სულ ის იყო, რომ კიდევ მოსწრებოდა მარტსა და აპრილს, რომ ისევ დაებერა თავისი თბილი სული გაზაფხულს, ისევ გაეთბო მისთვის ძვალ-რბილი, რომ გადმოსცივნოდა სიხარულის ცრემლები და აბჟყვრიალებულიყო სურნელოვან ფისის წვეთებით...

მის ფუღუროში ერთ დაობლებულ ციყვს თავი შეეფარებინა და თბილი ბუნაგი გაეკეთებინა. ნაძვმა ის უსაყვედუროდ მიიღო და უხაროდა კიდეც, ზამთარში რომ პატარა ნადირი მის უბეში იწვა თბილად და უშიშრად. ფრინველები ხომ გუნდ-გუნდად სხდებოდნენ მის ტოტებზე და მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. ნაძვი უსაყვედუროდ უხრიდა თავსა და ტოტებს ამ მხიარულ სტუმრებს. ასე ცხოვრობდა ნაძვი და შეჰხაროდა თავის ნათესაობას, თავის სტუმრებს.

ერთ მშვენიერ დღეს მის გარეშემო რაღაც რაკარუკი გაისმა. ნაძვს ჯერ კოდალები ეგონა, მაგრამ როცა ამ ხმაურობის შემდეგ რამდენიმე ხე წაიქცა კვნესით დედამიწაზე, მაშინ-კი დარწმუნდა, რომ აქ სხვა იარაღი მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ახალგაზდა ხე დაწვა ძირს ყურებ ჩამოყრილი და ტყე შესამჩნევად შეთხელდა.

მოჭრილ ხეებს ეხვეოდა ხალხი, ჩეხავდა, ხერხავდა, აპობდა, სთლიდა და ურმობლივ და ნალოებად სადღაც ეზიდებოდა. ჩიტებმა მიანებეს თავი იქაურობას და ტაბილი ჭიკჭიკი შესწყვიტეს, კოდალებიც გადაიკარგნენ სადღაც და ნაძვს ახლო აღარ უდგებოდნენ. მხოლოდ ციყვუნიამ არ უღალატა თავის ნაამაგდარ ხეს და არ მოშალა ბინა მის ფუღუროში. მართალია ხალხმა ამასაც მოჭრა თვალი და ნიშანში ამოიღო, მაგრამ რაღა ციყვი იქნებოდა, თუ-კი მტერს ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში. ის ხვლიკივით ასრიალდებოდა ხეზე, როცა ვისმე დაინახავდა, ან ფეხის ხმა შემოესმებოდა, კენწეროზე მოექცეოდა, — „თუ კაი ბიჭები ხართ, აბა აქ ამობრძანდითო“, — და დახტოდა იქ ტოტიდან ტოტზე, სანამ არ მიემალებოდა დაუპატიჟებელ სტუმარს.

— რა დროებას შევესწარ, თქვენი ჭირიმე! ე რა ღვთის წყრომა და რისხვაა ჩვენს თავსაო! შესჩიოდა დაღონებული ნაძვი ხნიან ბელურას, რომელიც ხანდახან შემოჯდებოდა მის ტოტზე დარდის გასაქარვებლად: რისთვის უსპობენ სიცოცხლეს ამ სიცოცხლის მოტრფიალე ახალგაზდობას?!

ბელურა-ჩიტები, მოგეხსენებათ, ცნობის მოყვარენი არიან, ბევრგან უვლიან, ყოველგან დაფრენენ, ყველაფერს აკვირდებიან და სად რა ხდება, ვინ რას აკეთებს, კარგად იციან.

— ნუ სწუხარ, ჩემო ნაძვის-ხევ! მართალია შენს გვაროვნობას სიცოცხლეს უსპობენ, მაგრამ იმათ სიკვდილის შემდეგ დიდი სიკეთე მოაქვთ ქვეყნისათვისაო! უთხრა ბელურამ.

— რას ამბობ, ხომ არ გამოსულელებულხარ ამ სიბერის დროს, ჩიტო-ჩიორავ? სიკვდილის შემდეგ ვის რა სიკეთის მოტანა შეუძლია?! გაიკვირვა ნაძვმა.

— კი, ჩემო ნაძვო! აი, მაგალითად, საპურო მცენარეები ხომ კვდებიან, როცა იმათ მკიან, მაგრამ მით ადამიანს ასაზრდოებენ და აცოცხლებენ. ხეების საქმეც ასეა მაღალსა და სწორე ნაძვის ხეებს ტელეგრაფ-ტელეფონის ბოძებად ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემების ანძებად ხმარობენ; სხვილ-სხვილ ხეებს ფიცრებად ხერხავენ, ტოტებსა და ნორჩ ხეებს ხერხავენ, აპობენ და შეშად აქცევენ. ან კიდევ ფისსა ხდიან, კუპრსა, კანიფოლსა, ძმარსა და სხვ. უბინაოდ და უშეშოდ ხალხი ხომ სიცივითა და სიმშილით დაიხოცებოდა...

— ეგ კაი დაგემართოს, მაგრამ მაინც... მეცოდებიან...

— მეც მეცოდებიან, მაგრამ რა ვქნათ!. ჩაუჭიკჭიკა ბელურამ და გაფრინდა.

იდგა ნაძვი გაყუჩებული და ჩიტის ნაამბობსა ფიქრობდა. ცულის ხმა ახლა წინანდელივით მწარედ აღარ ხვდებოდა გულში...

აი, კიდევ დაუშინეს ცული და წამოაქციეს ერთი წვრილი ლერწამ-ტანა ხე.

— მშვიდობით, ჩემო შვენიერო! ვინ იცის, იქნება მეზღვაურების საიმედო ანძად გახდე და ვინძლო მშვიდობიანად ატარო გემი, გაიმაგრე წელი და გული; არ შეუშინდე ქარიშხალს, არც ღელვას, არც ტალღებს და არც გრიგალს!.. შეასრულე შენი მოვალეობა პირნათლად!.. გამოეთხოვა ნაძვი.

აჰა კიდევ ცულის ხმა და აჰა კიდევ ახალი მსხვერპლი! წაიქცა ახლა მსხვილი ნაძვის ხე...

— მშვიდობით შენც, ჩემო მოწიფულო ვაჟკაცო!.. მოგადგებიან, შე საწყალო, დაგხერხვენ, დაგჩეხენ, დაგაპობენ, დაგწვავენ, მაგრამ არ შეუშინდე ამ ტანჯვა-წამებას! გაუთბე ხალხს გული შენი ალით, გაუქარვე ნაღველი, გაუღვიძე წმინდა გრძნობა და აზრი, გაუნათე კვარით გზა-კვალი და ბოლოს გააპოხიერე ნაცრით დედამიწა!.. მშვიდობით!

ასე ეცლებოდა დღითი-დღე თითო-ორ-ოლა ხე ბებერ ნაძვს და რჩებოდა მარტო, უნათესაოდ, უმეზობლოდ, უთვისტომოდ. ნაძვი ყველას ეთხოვებოდა და გზას ულოცავდა.

მშვიდობით! ღმერთმა სასიკეთო და სასარგებლო გზით გატაროს და მოგცეს შნო ხალხთ სამსახურისა!..

ბოლოს ბებერ ნაძვთან ერთი პაწაწა ლამაზი ნაძვი-ღა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა ზამთარი თავის ყინვებით და დაადო ბოლოს დედამიწას. გაკაფულ ტყეში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყვავები და ბეღურებიც სოფლად გაფრინდნენ, რომ ხალხს დაახლოვებოდნენ და თითო-ორ-ოლა მარცვალი რამე ეპოვნათ მუცლის ბოძად.

ხანდახან მხოლოდ ცბიერ მელიისგან დევნილი მხდალი კურდღელი თუ ჩამოცანცალდებოდა ნაძვისაკენ...

ერთ მზიან მოწმენდილ დღეს ტყეში ვიღაც კაცი შევიდა. ეტყობოდა ძალიან დაღალულიყო; მიუხედავად სუსხიან ყინვისა, შუბლიდან ოფლის ხვირთქლი ჩამოსდიოდა. მიიარ-მოიარა, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ რასაც ეძებდა, ვერ ჰპოობდა... ბოლოს შესდგა და პატარა ნაძვს დააცქერდა.

— ძლივს!. ვიპოვნე, ვიპოვნე!. მერე რა ლამაზია! რა კოხტა და შვენიერია!.— წამოიძახა კაცმა სიხარულით და ხელში ნაჯახი მოიმარჯვა... მოესმა ნაძვს ნაცნობი ჩახა-ჩუხის ხმა და.. პატარა ნაძვი დედამიწაზე გაიშხლართა... ბებერ ნაძვს ახლა-კი თვალთ დაუბნელდა, წელი და გული მოსწყდა..

— ოჰ, ღმერთო, ამ დღესაც მოვესწარ!.. ესეც წამართვეს?! ეს უკანასკნელიც!.. რას გვემართლებიან!. რადა? რისთვის წამართვეს ეს მაინც... ნეტა რაში გამოიყენებენ!!. რად მოუსპო ქორფა სიყმე, უღმერთომ, ვიღაც იყო!.

გავიდა ხანი. ნაძვი-იკ ისევ ოხრავდა, ნაღვლობდა: რადა? რისთვის? ვისთვის რა საჭირო იყო?..

ამოვარდა ქარი, შემოურბინა ტყეს, დაჰქროლა ბოლოს ბებერ ნაძვსაც და შემოესმა იმისი ყვედრების ხმა..

— რას ჩიფჩიფებ, მოხუცო? რამ დაგაღონა?.. შენმა შვილიშვილმა მოკითხვა შემოგითვალა! ისე გალამაზებულა, ისე დახატულა, რომ ველარც-კი იცნობ!—შეჰზუზუნა ქარმა.

— სად ნახე, ქარაფშუტავ, ჩემი შვილი-შვილი?

— სად და ერთ პატარა ოთახში, სადაც ჩემს მეტი ვერავინ შეიხედავდა, ისე დახშულ-დაჩულული იყო სიცივის გასაშორებლად. მე-კი ცოტათი გაღებულ სარკმლიდან შევძვერ და ავადმყოფ პატარა ბავშვის ლოგინთან აყუდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემების ანძებად ხმარობენ; სხვილ-სხვილ ხეებს ფიცრებად ხერხავენ, ტოტებსა და ნორჩ ხეებს ხერხავენ, აპობენ და შეშად აქცევენ. ან კიდევ ფისსა ხდიან, კუპრსა, კანიფოლსა, ძმარსა და სხვ. უბინაოდ და უშეშოდ ხალხი ხომ სიცივითა და სიმშილით დაიხოცებოდა...

— ეგ კაი დაგემართოს, მაგრამ მაინც... მეცოდებიან...

— მეც მეცოდებიან, მაგრამ რა ვქნათ!. ჩაუჭიკჭიკა ბელურამ და გაფრინდა.

იდგა ნაძვი გაყუჩებული და ჩიტის ნაამბობსა ფიქრობდა. ცულის ხმა ახლა წინანდელივით მწარედ აღარ ხვდებოდა გულში...

აი, კიდევ დაუშინეს ცული და წამოაქციეს ერთი წვრილი ლერწამ-ტანა ხე.

— მშვიდობით, ჩემო შვენიერო! ვინ იცის, იქნება მეზღვაურების საიმედო ანძად გახდე და ვინძლო მშვიდობიანად ატარო გემი, გაიმაგრე წელი და გული; არ შეუშინდე ქარიშხალს, არც ღელვას, არც ტალღებს და არც გრიგალს!.. შეასრულე შენი მოვალეობა პირნათლად!.. გამოეთხოვა ნაძვი.

აჰა კიდევ ცულის ხმა და აჰა კიდევ ახალი მსხვერპლი! წაიქცა ახლა მსხვილი ნაძვის ხე...

— მშვიდობით შენც, ჩემო მოწიფულო ვაჟკაცო!.. მოგადგებიან, შე საწყალო, დაგხერხვენ, დაგჩეხენ, დაგაპობენ, დაგწვავენ, მაგრამ არ შეუშინდე ამ ტანჯვა-წამებას! გაუთბე ხალხს გული შენი ალით, გაუქარვე ნაღველი, გაუღვიძე წმინდა გრძნობა და აზრი, გაუნათე კვარით გზა-კვალი და ბოლოს გააპოხიერე ნაცრით დედამიწა!.. მშვიდობით!

ასე ეცლებოდა დღითი-დღე თითო-ორ-ოლა ხე ბებერ ნაძვს და რჩებოდა მარტო, უნათესაოდ, უმეზობლოდ, უთვისტომოდ. ნაძვი ყველას ეთხოვებოდა და გზას ულოცავდა.

მშვიდობით! ღმერთმა სასიკეთო და სასარგებლო გზით გატაროს და მოგცეს შნო ხალხთ სამსახურისა!..

ბოლოს ბებერ ნაძვთან ერთი პაწაწა ლამაზი ნაძვი-ღა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა ზამთარი თავის ყინვებით და დაადო ბოლოს დედამიწას. გაკაფულ ტყეში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყვავები და ბეღურებიც სოფლად გაფრინდნენ, რომ ხალხს დაახლოვებოდნენ და თითო-ორ-ოლა მარცვალი რამე ეპოვნათ მუცლის ბოძად.

ხანდახან მხოლოდ ცბიერ მელიისგან დევნილი მხდალი კურდღელი თუ ჩამოცანცალდებოდა ნაძვისაკენ...

ერთ მზიან მოწმენდილ დღეს ტყეში ვიღაც კაცი შევიდა. ეტყობოდა ძალიან დაღალულიყო; მიუხედავად სუსხიან ყინვისა, შუბლიდან ოფლის ხვირთქლი ჩამოსდიოდა. მიიარ-მოიარა, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ რასაც ეძებდა, ვერ ჰპოობდა... ბოლოს შესდგა და პატარა ნაძვს დააცქერდა.

— ძლივს!. ვიპოვნე, ვიპოვნე!. მერე რა ლამაზია! რა კოხტა და შვენიერია!.— წამოიძახა კაცმა სიხარულით და ხელში ნაჯახი მოიმარჯვა... მოესმა ნაძვს ნაცნობი ჩახა-ჩუხის ხმა და .. პატარა ნაძვი დედამიწაზე გაიშხლართა... ბებერ ნაძვს ახლა-კი თვალთ დაუბნელდა, წელი და გული მოსწყდა..

— ოჰ, ღმერთო, ამ დღესაც მოვესწარ!.. ესეც წამართვეს?! ეს უკანასკნელიც!.. რას გვემართლებიან!. რადა? რისთვის წამართვეს ეს მაინც... ნეტა რაში გამოიყენებენ!!. რად მოუსპო ქორფა სიყმე, უღმერთომ, ვიღაც იყო!.

გავიდა ხანი. ნაძვი-იკ ისევ ოხრავდა, ნაღვლობდა: რადა? რისთვის? ვისთვის რა საჭირო იყო?..

ამოვარდა ქარი, შემოურბინა ტყეს, დაჭყოლა ბოლოს ბებერ ნაძვსაც და შემოესმა იმისი ყვედრების ხმა..

— რას ჩიფჩიფებ, მოხუცო? რამ დაგაღონა?.. შენმა შვილიშვილმა მოკითხვა შემოგითვალა! ისე გალამაზებულა, ისე დახატულა, რომ ველარც-კი იცნობ!—შეჰზუზუნა ქარმა.

— სად ნახე, ქარაფშუტავ, ჩემი შვილი-შვილი?

— სად და ერთ პატარა ოთახში, სადაც ჩემს მეტი ვერავინ შეიხედავდა, ისე დახშულ-დაჩულული იყო სიცივის გასაშორებლად. მე-კი ცოტათი გაღებულ სარკმლიდან შევძვერ და ავადმყოფ პატარა ბავშვის ლოგინთან აყუდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახე. ვერ წარმოიდგენ, რა დიდებულად იყო მორთული-მოკაზმული! მის ტოტებზე ფერად-ფერადი წმინდა სანთლები ენთო, შიგა და შიგმოვარაყებული კაკლები, მრავალი ხილი, ათასნაირი სამკაული, წიგნაკები, რვეულები! რა გინდა სულო და გულო, რომ ზედ არ შეებათ. გაყვითლებულ და დასუსტებულ ბავშვის სახეზე აღტაცება იხატებოდა. ხელებ გაწვდილი ეტოტინებოდა ლოგინიდგან პატარა ნაძვს, თითქო გულში უნდა ჩაიკრას და უალერსოსო.

— რა კარგი ხარ, ჩემო ნაძვო! რა მორთული ხარ, ჩემო შობის-ხევ.

ბავშვის დედმამას ტირილი მოსდიოდათ, არ ვიცი სიხარულისა თუ მწუხარებისა... ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— დახე, დახე, პირს ღიმილი მოუვიდა!.

— შენი ჭირიმე, ჩემო ბიჭიკო!. შენ-კი გენაცვალოს დედი შენის თვალები!.. ღმერთმა მრავალ შობა-ახალ-წელიწადს დაგასწროს, ჩემო ანგელოზო!.. შენმა ძირმა და გვარმაც იხაროს, პატარა ნაძვო, ჩემი შვილის გახარებისათვის!

თ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. ვერონიკას ჩადრი

(ლეგენდა)

სულმა დაგერდეოვისა

ამპერატორ ტიბერიუსის მეფობის უკანასკნელ წლებში ერთი ღატაკი მევენახე დასახლდა თავისი ცოლით განმარტოებულ ქოხში მაღლა საბინის მთებზე. უცხონი იყვნენ აქა, ცხოვრობდნენ სრულიად განმარტოებით, არავინ არ დადიოდა მათთან. მაგრამ ერთ დილას, როდესაც მუშა ქოხის კარებს აღებდა, დაინახა, რომ იქვე კარებთან მოკუნტული იჯდა მოხუცი ქალი. უბრალო, რუხ წამოსასხამში გახვეული ძალიან ღარიბს ჰგავდა. მაგრამ, როდესაც წამოდგა და მისკენ მიბრუნდა, ისეთ დარბაისლად მოეჩვენა, რომ ძალა უნებურად მოაგონდა თქმულება ღმერთთა შესახებ, რომელნიც დრო გამოშვებით მოევლინებიან ადამიანს მოხუცი ქალის სახით.

— ჩემო მეგობარო,—უთხრა მოხუცმა ქალმა,—ნუ გიკვირს, რომ ეს ღამე აქ გავათიე... ჩემი მშობლები ამ ქოხში ცხოვრობდნენ, მეც აქ დავიბადე თითქმის 90 წლის წინედ. მეგონა, რომ ქოხი ცარიელი და მიტოვებული დამხვდებოდა. არ ვიცოდი, რომ აქ კვლავ დასახლებულან ადამიანები.

— არც გასაკვირველია,—უპასუხა მან,—რომ ეს ქოხი, ამ სიმაღლეზე და უცხო კლდეში შეფარებული, ცარიელი და მიტოვებული გგონებოდა! მაგრამ მე და ჩემი ცოლი შორეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნიდან მოვედით და ღარიბებმა და უცხოელებმა უკეთესი თავშესაფარი ვერ ვიშოვეთ. შენს ხანში, მშიერისა და ხანგრძლივ მოგზაურობისაგან მოქანცულისათვის უფრო სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ამ ქოხში ადამიანი ნახე და არ წააწყდი საბინის მთების მგელს. მობრძანდი, საჭირო ლოგინს და ერთ ლუკმა პურს ყოველთვის გიშოვით, თუ-კი ისურვებ.

მოხუცმა ქალმა წყნარად გაიღიმა, მაგრამ ამ წყნარ ღიმილმაც ვერ მოაშორა მის სახეს ღრმა მწუხარების კვალი.

— ჩემი ახალგაზრდობა აქ, მთებში გავლიე,—სთქვა მან,—ჯერ არ დამვიწყებია, როგორ უნდა მგლის გაძევება ბუნაგიდან.

მართლაც, იგი ჯერ კიდევ მაგარი აგებულებისა და ღონიერი ჩანდა, და მევენახე არც-კი ეჭვობდა, რომ მიუხედავად ღრმა სიბერისა, მას კიდევ შერჩენოდა საკმაო ძალა ტყის ნადირთან საბრძოლველად.

მეორედ მიიპატიჟა მევენახემ და მოხუცი ქალიც ქოხში შევიდა. იგი მიუჯდა ლატაკთა საუზმეს და შეუპატიჟებლად დაიწყო ჭამა. ძლიერ კმაყოფილი იყო საჭმელით—რძეში ჩამბალ შავი პურის ნატეხით. ცოლი და ქმარი საგონებელში ჩავარდნენ: საიდან უნდა მოხეტებულიყო მათთან ეს მოხუცი მოგზაური? ზედ ეტყობა, რომ ვერცხლის სინით მოტანილი ხოხობი უფრო ხშირად მიურთმევია, ვინემ თიხის ქოთნით თხის რძე დაულევია.

დრო გამოშვებით მოხუცი თვალს მიმოავლებდა იქაურობას და სინჯავდა ქოხს. ღარიბული მორთულობა, გატიტვლებული თიხის კედლები, გატკეპნილი იატაკი, თქმა არ უნდა, ძლიერ გამოცვლილიყო. ახლანდელ პატრონებს მას აჩვენა კედლებზე დარჩენილი ძაღლის ან ირმის ნახატების კვალი, მამა რომ უხატავდა პატარა ბალღებს გასართობად. მაღლა თაროზე თიხის ქოთნის ნამტვრევიც-კი იპოვა: ამით რძეს სვამდა ოდესღაც თავის პატარაობაში.

მასპინძლები-კი თავისას ფიქრობდნენ: შესაძლებელია, რომ ეს ქალი აქ, ამ ქოხში დაბადებულიყოს? ნუ თუ თხასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწველიდა და ყველს ამზადებდა ამ ქოხში? შენიშნეს ალბათ-
თვე ისიც, რომ ხშირად მისი აზრი სადღაც შორს დაფრი-
ნავდა და რომ ყოველთვის, როცა გამოერკვეოდა, ღრმად
და მწუხარედ ამოიკვნესებდა ხოლმე.

საუზმე გაათავეს. მოხუცმა მადლობა გადაუხადა სტუმართ-
მოყვარეობისათვის და კარებისაკენ გაემართა.

და უცებ მასპინძელს ისეთი საბრალო, უმწეო და ღა-
რიბი ეჩვენა ქალი, რომ ველარ მოითმინა და უთხრა:

— თუ არ ვცდები, წუხელის რომ ამ ქოხთან მოხვედი,
ასე მალე მის დატოვებას არ ფიქრობდი. თუ მართლა ბინა
აოსადა გაქვს, შენი ცხოვრების უკანასკნელ დღეების გატა-
რებას, ალბად, აქ ფიქრობდი. . ეხლა-კი წასვლას ჰლამობ, რ-
დგანაც მე და ჩემი ცოლი დაგხვდით ამ ქოხში!...

მოხუცი დასთანხმდა, ასეთი სურვილი მქონდაო...

— მაგრამ,—დაუმატა მან, — ეს ქოხი, რომელიც რამდე-
ნიმე წელიწადი უპატრონოდ იყო, გეკუთვნის შენ იმდენა-
დვე, რამდენადაც მე. მე არავითარი უფლება არ მაქვს, რომ
აქედან გაკაძევო.

— კი მაგრამ ეს ქოხი ხომ შენის მშობლებისაა,—უპა-
სუხა მევენახემ,—შენ მეტი უფლება გაქვს აქ, ვინემ ჩვენ.
გარდა ამისა, ჩვენ ახალგაზრდანი ვართ, შენ-კი მოხუცი! და-
რჩი აქ, ჩვენ-კი წავალთ აქედან.

ამ სიტყვებმა ძლიერ გააკვირვა მგზავრი. იგი მოტრიალ-
და და მიაჩერდა მევენახეს, თითქო ამ სიტყვების მნიშვნე-
ლობა არ ესმოდაო.

ლაპარაკში ახალგაზრდა ქალი ჩაერია.

— თუ ჩემი აზრის გამოთქმის ნება მექნება,—მიუბრუნ-
და იგი ქმარს,—გთხოვ ჰკითხო ჩვენს სტუმარს, მოისურვებს
თუ არა შვილებსავით გვიყუროს? დაგვრთავს ნებას თუ არა,
დავრჩეთ ჩვენც აქა და მაგაზედ ვიზრუნოთ. რად უნდა ქოხი,
თუ სულ მარტო იქნება? საშინელი იქმნებოდა მაგისათვის
მთაში მარტო ცხოვრება!.. ან რით უნდა გამოიკვებოს? ხომ
სიმშილით სიკვდილი მოელის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი მიუახლოვდა ცოლ-ქმარს და გამომცდელ-ლით ჩაიჩერდა ორივეს.

— რად მელაპარაკებით ეგრე, რად გებრალებით ეგრე ძლიერ? თქვენ ხომ უცხოელები ხართ?...“

ახალგაზრდა ქალმა უპასუხა:

— იმიტომ, რომ ერთხელ ჩვენც ვპოვეთ უდიდესი შებრალება!...

*
* *

ამ გვარად მოხუცი ქალი დასახლდა მევენახის ქოხში და ძლიერ დაუმეგობრდა ახალგაზრდა მეუღლეთ. მაგრამ არც ერთხელ არ წამოსცდენია, თუ საიდან მოვიდა, ან ვინ იყო წინად; მასპინძლებსაც ესმოდათ, რომ მოხუცს არ ესიამოვნებოდა გამოკითხვა და იყვნენ დაჩუმებულნი.

ერთ საღამოს მუშაობის შემდეგ, როდესაც სამივე ქოხის წინ კლდის ბრტყელ დიდ ლოდზე ისხდნენ და ვახშმობდნენ, დაინახეს ბილიკზე მიმავალი ბერი კაცი.

ეს იყო მაღალი ტანის, მაგარი აგებულების, მხარ-ბეჭიანი კაცი. მკაცრი, მოღუშული სახე ჰქონდა, წინ წამოწეული შუბლი და ღრმად ჩავარდნილი თვალები; ტუჩების ნაკვთებში გამოსჭვივოდა უიმედობა და ზიზღი.

სამხედრო შეხედულება და სწრაფი მოძრაობა ჰქონდა. ბერი კაცი საკად იყო ჩაცმული; ეტყობოდა, ლეგიონერად ნამყოფი იყო, ამ ჟამად განთავისუფლებული და სამშობლოში მიმავალი. მოვახშმეთ რომ დაუახლოვდა, ბერი კაცი გაჩერდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მევენახემ იცოდა, რომ გზა აქვე, ქოხს იქით თავდებოდა; ამიტომ დასდო კოვზი და მიუბრუნდა მოსულს:

— შენ უსათუოდ, გზა დაგბნევია, მგზავრო, რომ ამ ქოხთან მოხვედი? აქ არავინ ამოდის ხოლმე, თუ საქმე არა აქვს ჩვენთან.

ამ დროს ბერი კაცმა უფრო ახლო მიიწია.

— მართალს ამბობ,— უთხრა მან, —გზა დამებნა და არ ვიცი, საით წავიდე. ძლიერ მადლიერი ვიქნები, თუ შესვენების ნებას მომცემ, შემდეგ-კი მაჩვენებ სოფლის გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სთქვა და დაეშვა ლოდზე. ახალგაზრდა ქალმა ყურადღებით შესთავაზა, მაგრამ კაცმა ღიმილით უარი სთქვა; სამაგიეროდ, სანამ ისინი ვახშმობდნენ, იგი მეტად ხალისიანად ბაასობდა. გამოჰკითხა ახალგაზრდათ მათი ყოფა-ცხოვრება და ხელობა, ისინიც გულ-ახდილად და ალერსიანად აძლევდნენ პასუხს.

მაგრამ აი მევენახეც მიუბრუნდა მგზავრს და დაუწყო გამოკითხვა.

— შენც ხედავ, უთხრა მან, როგორ განმარტოებული ვცხოვრობთ ჩვენ აქა. აგერ მთელი წელიწადია, რაც მე არ მილაპარაკია არავისთან გარდა მეცხვარეებისა და მევენახეებისა. შენ ეჭვს გარეშეა, რომელიმე ბანაკიდან მოდიხარ და არ შეგიძლია, გვიამბო რამე რომისა და იმპერატორის შესახებ?

ჯერ არც-კი დაემთავრებინა, რომ მოხუცმა მიიპყრა იმისი ყურადღება: თვალით და ხელით ანიშნებდა, ფრთხილად იყავ, ლაპარაკში არა წამოგცდეს-რაო. მგზავრმა მეგობრულად უპასუხა მევენახეს.

— ვხედავ, რომ ლეგიონერი გგონივარ; არც თუ ძლიერ შესცდი, თუმცა დიდი ხანია უკვე, რაც სამსახურს თავი დავანებე. ტიბერიუსის მეფობაში ჩვენ ჯარის კაცებს ბევრი საქმე არ გვქონია. მერე რა დიდებული სარდალი იყო ერთ დროს... ეს მისი ბედნიერების ჟამი იყო... ახლა-კი მარტოდენ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ აღმოაჩინოს შეთქმულობანი... მთელი რომი ლაპარაკობს, რომ წარსულ კვირას, სულ მცირე ეჭვით, მან ბრძანება გასცა დაეტუსაღებინათ და დაესაჯათ სენატორი ტიტიუსი.

— საბრალო იმპერატორი!—წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა.—აღარ ესმის, რას სჩადის!.. ქალმა გულზე დაიკრიფა ხელები და სიბრალულით და გაკვირვებით გაიქნია თავი.

— მართალიცა ხარ, უპასუხა ბერი კაცმა, და ღრმა მწუხარების ღრუბელმა გადაურბინა სახეზე.—ტიბერიუს ესმის, რომ ყველას ეჯავრება იგი, და ეს უფრო ურევს გონებას...

— რას ამბობ!—შესძახა ახალგაზრდა ქალმა:—რად უნდა გვეჯავრებოდეს? ჩვენ მარტოოდენ გვებრალება, რომ ის დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული იმპერატორი აღარ არის, როგორიც ტახტზე ასვლის დროს იყო.

სცდები,—სთქვა მოხუცმა,—ყველას ეზიზღება და სძულს ტიბერიუსი. ან როგორ შეიძლება არა გვძულდეს? სასტიკი, შეუბრალებელი მტარვალია და ამბობენ მომავალში სრულიად აუტანელი გახდებაო.

— განა მოხდა რამ ისეთი, რომ ტიბერიუსის მტარვალობას მოწმობდეს?—იკითხა გულუბრყვილოდ მევენახემ.

ახალგაზრდა ქალმა შენიშნა, რომ ქმრის ამ სიტყვებზე მოხუცმა ქალმა კიდევ ანიშნა მევენახეს ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ ისე შეუმჩნევლად კი, რომ მან ვერც-კი შეიტყო.

მოხუცის ტუჩებზე თავისებური ღიმილი გამოკრთა.

— შენ, უთუოდ, გაგეგონება, რომ ტიბერიუსს ბოლო დრომდე გვერდით ჰყავდა მეგობარი, რომელსაც ენდობოდა და რომელიც მუდამ სიმართლეს ეუბნებოდა. დანარჩენი, მის სასახლეში მყოფნი, ბედნიერების მაძიებელნი და პირმოთნენი არიან. აი რად აქებ-ადიდებენ მის ბოროტსა და საზიზღარ ქცევასა და კეთილს და კეთილშობილ მოქმედებასაც. მაგრამ იყო, როგორც ვსთქვი, ერთი არსება, რომელსაც არ ეშინოდა ემხილა მისთვის მისი ყოფა-ქცევა. ეს ადამიანი, რომელსაც მეტი გაბედულება ჰქონდა ვინემ სენატორებსა და სარდლებს,—იყო მოხუცი გადია იმპერატორისა ფაუსტინა.

— დიახ გამიგონია მისი ამბავი,—შეაწყვეტინა სიტყვა მევენახემ,—ამბობდნენ, რომ ტიბერიუსი ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

— დიახ, ტიბერიუსი აფასებდა ამ ქალის სიყვარულსა და ერთგულებას, დედასავით ეპყრობოდა უბრალო გლეხის დედაკაცს; ოდესლაც საცოდავ ქოხიდან, საბინის მთებიდან მასთან მისულს. თავისი გამდელი, რომში ცალკე სასახლეში დააბინავა პალატინის გორაკზე, რომ ყოველთვის ახლო ჰყოლოდა.. ერთი დიდებული რომაელი ქალიც არა ცხოვრობდა მაზე უკეთ. ქუჩაში საკაცეთი ატარებდნენ, და იმოსებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დედოფალსავით. რაკი იმპერატორი კუნძულ კაპრზე გადავიდა, იგიც თან უნდა ხლებოდა, იმპერატორმა ბრძანება გასცა, ეყიდათ გამდლისათვის აგარაკი ბონებითა და მდიდარი მოწყობილებით.

— მართლაც და კარგი ყოფილა მისი ცხოვრება! —ჩაურთო კვლავ მეევნახემ. ეხლა მარტო ისღა ებაასებოდა სტუმარს.

ცოლი ჩუმად იჯდა და გაკვირვებით თვალს ადევნებდა მოხუც-ქალში მომხდარ ცვლილებას: რაც ის მგზავრი მოვიდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. დაკარგა ჩვეულებრივი ალერსიანი და ტკბილი გამომეტყველება; განზე გადასდგა საჭმელი, და იჯდა ჩუმად გაშეშებულსავით; კარს მიჰყუდებოდა და შორს სივრცეში იცქირებოდა; სახის გამომეტყველებაკი მკაცრი, გაქვავებული ჰქონდა.

— მეფის ნება იყო, რომ მას ბედნიერი ცხოვრებით ჰქონოდა,—სთქვა ბერიკაცმა.—მაგრამ მიუხედავად ამ სიკეთისა, ეხლა გამდელმაც დასტოვა იგი.

ამ სიტყვებზე მოხუცი ქალი შეკრთა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა ალერსიანად ხელი გადაუსვა და თავის ნაზი ხმით უთხრა ბერიკაცს:

— მე მაინც ვფიქრობ, რომ მოხუცი ფაუსტინა ისეთი ბედნიერი არ ყოფილა სასახლეში, როგორც შენ აგვიწერე. დარწმუნებული ვარ, რომ მას ღვიძლი შვილივით უყვარდა ტიბერიუსი. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ამაყობდა იგ ტიბერიუსის კეთილშობილურ სიჭაბუკით; შემიძლია წარმოვიდგინო აგრეთვე ისიც, თუ რა ძლიერი იყო მისი მწუხარება, როდესაც სიბერის დროს იმპერატორი ეჭვიანობას და სისასტიკეს დაემონავა. გამდელი, უეჭველია, არიგებდა, და აჩერებდა კიდეც. მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო მისთვის ამაოვედრება! და, ბოლოს, ვეღარ შესძლო თავის და გაზდილის დალუპვას თვალი მოაშორა.

ამ სიტყვებზე გაკვირვებულმა ბერიკაცმა უფრო ახლო მიიწია, მაგრამ ნათლად ვერ დაინახა ახალგაზრდა ქალი: იგი თავდახრილი იჯდა და მწუხარე და წყნარი კილოთი ლაპარაკობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება მართალიც იყოს, რასაც ამბობ,—უპასუხა მან. ფაუსტინა მართლაც არ იყო ბედნიერი სასახლეში. საკვირველია მაინც, რომ მან მიატოვა იმპერატორი სიბერის დროს, მას შემდეგ, რაც მთელი თავისი სიცოცხლე მოთმინებით მასთან ცხოვრობდა.

— რა სთქვი!... —დაიძახა მეორემ: ნუთუ მოხუცმა ფაუსტანამ მიატოვა იმპერატორი?!

— იგი გაიქცა კუნძულ კაპრიდან და ერთი სიტყვაც არ უთქვამს ვისთვისმე,—სთქვა მგზავრმა.—წავიდა ისევე გლახაკად, როგორც ოდესღაც მოვიდა. არც რა წაუღია თავისი ძვირფასი განძიდან.

— და იმპერატორმა მართლა არ იცის, სად წავიდა?—იკითხა ახალგაზრდა ქალმა.

— არა, არავინ იცის დანამდვილებით, საით გაემგზავრა საწყალი; უფრო სარწმუნოდ-კი ის მიაჩნიათ, რომ იგი დაბრუნდა სამშობლო მთებში თავშესაფარის მოსაძებნად.

— მერე იმპერატორმა არ იცის მიზეზი, რამ აიძულა მოხუცი მიეტოვებინა იგი?—განაგრძობდა გამოკითხვას ახალგაზრდა ქალი.

— არა, იმპერატორმა არ იცის მიზეზი. იმას ხომ არ იფიქრებს ტიბერიუსი ვითომ იმიტომ წასულიყოს მოხუცებული, რომ ერთხელ როგორღაც ებრძანებინოს: იმიტომ მემსახურები, რომ სხვებსავით მიიღო გასამრჯელო და საჩუქარიო. ფაუსტინამ კარგად იცის, რომ იმპერატორს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია მისი ანგარება. ტიბერიუსი დაიმედებული იყო, რომ თავისივე ნებით დაბრუნდებოდა გამდელი, რადგანაც იმაზე უკეთესად არავინ იცის, რომ ამ ჟამად იმპერატორს არც ერთი მეგობარი არა ჰყავს.

— მე იმ მოხუცს არ ვიცნობ,—სთქვა ახალგაზრდა ქალმა,—მაგრამ, ჩემი აზრით, შემიძლია გითხრა მიზეზი, რადაც განშორდა იმპერატორს. ის მოხუცი ქალი აქ იყო აღზრდილი უბრალოდ და მისი გული მუდამ აქეთ იწევდა. მიუხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავად ამისა არ განშორდებოდა იმპერატორს, შეურაცყოფილი რომ არ ყოფილიყო. რა-კი ეს მოხდა, თავის თავზედ ზრუნვას შეუდგა, რადგან ხედავდა, რომ მისი სიცოცხლის წუთები დათვლილია. მთის ღარიბი მცხოვრები რომ ვყოფილიყავ, მეც, უეჭველია, ისევე მოვიქცევოდი. მეც ვეტყოდი ჩემ თავს: მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემს ბატონს ვემსახურე და ეს საკმარისია მეთქი. მეც შორს გავეცლებოდი ფუფუნებას და მეფის წყალობას, რომ სული დამეტკბო ჭეშმარიტებითა და სიმართლით, სანამ შორეულ მგზავრობას შევუდგებოდი.

მოხუცმა მოღუშულად და მწუხარებით ავლო თვალი, ახალგაზრდა ქალს.

— ის-კი არ იცი, რომ იმპერატორის ცხოვრება გაცილებით ძნელი იქნება მომავალში, ვინემ ოდესმე ყოფილა. ახლა აღარავინა ჰყავს, რომ დაამშვიდოს, როდესაც უნდობლობა და ადამიანისადმი ზიზღი შეიპყრობს ხოლმე. შენ მარტო ეს წარმოიდგინე,—და მოხუცმა მოღუშული თვალები ახალგაზრდა ქალს შიგ თვალში ჩააშტერა,—ადამიანი აღარ არის, რომ არ სძულდეს და არ ეზიზღებოდეს ტიბერიუსს—არც ერთი კაცი!..

როდესაც მან ეს მწარე, სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვები წარმოსთქვა, მოხუცი ქალი შეირყა და მგზავრს მიუბრუნდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა თვალში თვალი გაუყარა მოსულს და უპასუხა:

— ტიბერი დარწმუნებულია, ფაუსტინა დამიბრუნდება, როდესაც-კი მოვისურვებო, მაგრამ ფაუსტიანამ წინადვე უნდა იცოდეს, რომ მისი მოხუცი თვალი იძულებული არ იქნება უყუროს სასახლის ბიწიერებასა და ურცხვობას.

ამ სიტყვებზე ყველანი წამოდგნენ; მევენახე და მისი ცოლი წინ აეფარნენ მოხუც-ქალს, თითქო მის დაფარვას ლამოდნენო.

ბერი კაცს მეტი არაფერი უთქვამს; მისჩერებოდა მოხუც-ქალს, თითქოს ეკითხებოდა:

— ეს შენი უკანასკნელი სიტყვაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუც ქალს ტუჩები უცახცახებდა და სიტყვებიც ნელ-ნელ ეყინებოდა.

— თუ იმპერატორს თავისი მოხუცი გამდელი უყვარს, ვალდებულია სიმშვიდე მიანიჭოს,—სთქვა ახალ ვაზრდა ქალმა.

მგზავრი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ უცებ მისი მოლრუბლული სახე გაიშალა.

— ჩემო მეგობრებო,—სთქვა მან—ბევრს ლაპარაკობენ ტიბერიუსის შესახებ, მაგრამ ერთია მართალი: იმპერატორმა ისწავლა თავის თავის უარყოფა. ერთსაც გეტყვით: ამ ქოხშიც რომ მოვიდეს მისი მოხუცი გამდელი, მიიღეთ კეთილად. იმპერატორის წყალობა იქნება მისი ჯილდო, ვინც მას დაეხმარება.

სთქვა ეს, გაეხვია წამოსასხამში და წავიდა.

პავ. დ—ძე.

(შემდეგი იქნება)



სამშობლო ჰვეშანა

ჯავახეთი

ხალხი. თურქების შემოსევამდე, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს, ჯავახეთი მარტო ქართველებით იყო დასახლებული. რაკი თურქებმა (ოსმალონი) დაიჭირეს საქართველოს ეს კუთხე, ხალხიც აირია და აჭრელდა. ყველაზე უწინარეს ჯავახეთს შემოეპარნენ ოსმალეთიდან ქურთები და თარაქამანი. როგორც ქურთი, აგრეთვე თარაქამა მომთაბარე და ეული იყო, ესე იგი მოხეტიალე და ერთ ადგილას დიდხანს არა ჩერდებოდა. რაკი მოსწყინდებოდა ხოლმე რომელსამე ადგილს დგომა, აიყრებოდა, აიკრებდა ბარგ-ბარხანას და გასწევდა სხვაგან. თარაქამა და ქურთი უსწავლელი, ხეპრე, ტლანქი და გაუთლელი იყო.

როგორც ძველ სამშობლოში, ისე ჯავახეთში ეს ველური ხალხი მწყემსობას დაადგა. სადაც საქონელს მირეკავდა და დროებით ბინას დასდებდა, იმის სოფელიც იქ იყო. სახლების აშენებით თარაქამა და ქურთი თავს არ იცხელებდა. წამოსჭიმამდა ალაჩუყს და შიგ არხეინად მოიკალათებდა. ესე სახელდახელოდ წამოდგმული ალაჩუყი, ანუ კარავი სავსებით აკმაყოფილებდა ქურთსა და თარაქამას და სხვას არას დაგიდევდა. ხვნა-თესვას, ხეხილის გაშენებას, ან ბოსტნის მოყვანას თურქები და თარაქამანი სრულებით არ მისდევდნენ. წლითი წლობით ასე უგემურად და ველურად ცხოვრობდნენ და მკვიდრ ქართველობაზე არავითარი გავლენა არა ჰქონიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ ოსმალეთის მთავრობისაგან განწესებულ მოხელეებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჯავახეთის ქართველობაზე. ოსმალონი ფიქრობდნენ, ჯავახი მაშინ იქნება ჩვენი ერთგული და ჩვენგან განშორებას აღარ მოისურვებს, უკეთუ სჯულს გამოიცვლის და მაჰმადის სარწმუნოებას მიიღებსო. ეს ყალბი და შემცდარი აზრი და ფიქრი გახდა მიზეზად იმისა, რომ ოსმალოს მოხელეებმა სასტიკი ძალმომრეობა იხმარეს და ჯავახეთი გაამაჰმადიანეს. რაკი რჯული შეუცვალეს ჯავახს, სახელიც გამოუცვალეს და ქართველის მაგიერ დაუძახეს თათარი. ამის გამო დღევანდლამდე რჯული და ეროვნობა დომხალივით არეულია ჯავახეთში და საერთოდ გამაჰმადიანებულ საქართველოში.

რუსებმა რომ დაიჭირეს ჯავახეთი 1828 წელს, ეს ძველის-ძველი კუთხე საქართველოსი თითქმის სრულებით იყო გადარჯულებული. მალულად, ჩუმად, თითო-ოროლა სოფელი თუღა მისდევდა ქრისტეანობას. გადარჯულებულ, ანუ გამაჰმადიანებულ ჯავახს, როგორც ზევით იყო მოხსენებული, არ მოეწონა რუსობა და მისი ბატონობა, მოშორდა სამშობლოს და გადიხვეწა ოსმალეთს. დარჩნენ ხოლოდ ჩუმი მართლ-მადიდებელი ქრისტეანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამანი და სულ მცირე ნაწილი გამაჰმადიანებულ ქართველობისა. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის მხედრობის სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა 1830 წ. აზრუმიდან დიდძალი სომხობა და დააბინავა ქართველების ნასოფლარებში.

ათის წლის შემდეგ, ესე იგი 1840 წ. რუსის მთავრობამ კიდევ მოუმატა ხალხი ჯავახეთს. რუსეთში სდევნიდა დუხაბორებს, ანუ მწვალებლებს, თავისუფალ ცხოვრების ნებას არ აძლევდა და ადგა და შინ დაწუნებულნი დაასახლა ჯავახეთს.

ამ გვარად დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1) ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები; 2) თარაქამანი; 3) აზრუმიდან მოსული სომხები; 4) რუსეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსახლებული დუხაბორები *) და 5) მკვიდრი ქართველნი: მართლ-მადიდებელი, კათოლიკე და მაჰმადიანი **ქართველები.** მართლ-მადიდებელი ქართველები სცხოვრობენ სოფ. საროს, აფნიას, გოგაშენს, ქილდას, ფრთენას, კოთელიას, ბარალეთს, ბალანთას, ჭიხარულას, ვარევანს, ჩუნჩხელს, მურჯახეთს, თოკს და ვარგავს.

სომხის ტიბიკონზე მდგომი ქართველი კათოლიკენი ცხოვრობენ ს. ხიზაბავრას, ხულგუმოს, ბავრას და კართიკამს. სომხის ტიბიკონს რომ ვახსენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტომით და ჩამომავლობით ქართველი, აი თუნდ ხიზაბავრელი, სომხურ ენაზე ისმენს წირვა-ლოცვას. ესაა მიზეზი, რომ ამ ტიბიკონის ქართველს ხშირად სახელი სომხური აქვს, მაგალითად პავლეს მაგიერ ტერ-ტერა (მღვდელი) პოლოსას არქმევს, გიორგის მაგიერ გეურქას და სხვა. მთავრობაც ხელს უწყობს ამ სიდუხჭირეს და მახინჯობას. ამ რამდენიმე წლის წინად ხიზაბავრელებმა ქვის ეკლესია ააშენეს და ზედ წარწერა გაუკეთეს ლათინურად და ქართულად. ვიღამაც შეატყობინა მინისტრს, ხიზაბავრელები ქართველობას ჩემულობენ და საყდარზე ქართული წარწერა გააკეთესო. ფიცხელი ბრძანება მოვიდა პეტერბურგიდან — წაშალეთ ქართული წარწერაო. მეტი რა ჩარა იყო, ქვაზე ამოჭრილი წარწერა კირით გაგლისეს.

ქართველი მაჰმადიანები სუნნის აღსარებისა ბინადრობენ ს. ხერთვისს, შადრევანს, თოკს და სხვაგანაც. სოფელ ხერთვისს შერჩენია ქართული გვარები: ვაჩნაძე, გეგიძე, ს. თოკს**) აბაშიძე და ხოსპიოს — ფალავანდიშვილი. საზოგადოდ ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანი ან სრულიად აღარ ლაპარაკობს ქართულად, ან თუ ლაპარაკობს ისე ცუდად, რომ ძლივს მიხვდები მის ლაპარაკის აზრსა.

---

*) ჩვენში მთავარ-მართებლად თ. გოლიცინი რომ იყო, იმის დროს დაიწყეს ჯავახეთში მართლ-მადიდებელ რუსების დასახლებაც. ჯერ-ჯერობით ორი პატარა სოფელი გააშენეს.

**) ამ სოფლის ქართველობა ნახევარი მართლ-მადიდებელია, ნახევარი მაჰმადიანი. უკანასკნელები სუფთად ლაპარაკობენ ქართულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავახეთის სხვა და სხვა ალსარების ქართველები ერთის შეხედვით დიდად განირჩევიან ერთმანეთისაგან. ჩაცმულობით, მიხვრა-მოხვრით, ზნე-ხასიათით მართლ-მადიდებელნი წაგავან ქართლელებსა და კახელებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჯავახი უფრო ეტანება განიერ შარვალს ვიდრე ქართლელი. ცხვრის ტყავისაგან უშნოდ შეკერილი ქუდიც სილამაზეს ვერა ჰმატებს ამ ქვეყნის შვილს. არც წინდაპაიჭი უვარგა ჯავახს, უშნო, ულამაზო და შეუღებავია.

ქართველი მაჰმადიანი ჩაცმულობით, ზნე-ხასიათით და ჩვეულებით დიდად წაგავს თათრს ქალები კარჩაკეტილები არიან და თუ სადმე მოუხდათ წასვლა. პირს იბურავენ ჩადრით, ერიდებიან უცხო მამა-კაცთან საუბარს და შეხვედრას. დიდი სირცხვილია და თავის მოჭრაა ქალისათვის, უცხო კაცმა რომ დაინახოს პირახდილი, ქალი ვალდებულია უცხო მამაკაცს რომ შეეფეთება, ან პირი. დაიფაროს ჩადრით, ან უმალ ზურგი მიაქციოს და ჩაქუქდეს. ნასწავლ კაცს უნებურად გაეღიმება, ამ უცნაურ და სასაცილო სურათს რომ წააწყდება. როგორლაც არა გჯერა, რომ ჩადრში გახვეული, პირუკუღმა ჩამჯდარი გზის პირას მანდილოსანი ქართველი ქალია. ქართველი, ქალია თუ კაცი, სითამამით განთქმულია, არავის ერიდება და აგერ აქ-კი, ამ გამაჰმადიანებულ საქართველოში, სარწმუნოებამ ასე შესცვალა ჩვენი ზნე და ხასიათი. მარტო ბებერი დედა-კაცი და პატარა გოგოები არა ჰმალავენ თავიანთ სახეს. კვირაობით ვყოფილვარ ქართველ მაჰმადიანის ოჯახში და ქალისთვის თვალი არ მომიკრავს. უქალოდ-კი ოჯახურ ცხოვრებას და სიამოვნება-მხიარულობას აჩრდილივით თან დასდევს ერთფერობა და უგემურობა, თითქოს ხალხში-კი არა, სადღაც უდაბურ კუნძულზე ხარ მარტოტ-მარტოვო. ვიდრე ქართველ მაჰმადიანის ოჯახში ქალი არ გამეფდება, როგორც ყველგან განათლებულ ქვეყნებშია მიღებული, მანამდისინ ქართველ მაჰმადიანის ოჯახს შნო და ლაზათი არ მიეცემა. რაც უნდა კარგად შეაზავო საჭმელი, თუ მარილი აკლია, მაინც უგემური იქნება. სწორედ ასე ემართება ქართველ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰმადიანის ოჯახს, სადაც ქალი ეს მარილი ოჯახისა კარჩაკეტილია და მოკლებული თავისუფლებას.

თარაქამა და ქურთი, ანუ ქურთინი. ესენი ჩაცმა-დახურვით ძრიელ წააგავან ქართველ მაჰმადიანებს სუნნის აღსარებისას, ითვლებიან მაჰმადიანებად, მაგრამ არც თუ აგრე დიდად იხეთქავენ თავს რჯულისათვის. როგორც თარაქამანი (ყარა-ფაფახი, შავქუდა), ისე ქურთინები მწყემსობას მისდევენ. ამ ბოლო დროს დაიწყეს მკვიდრად დაბინავება პატარ-პატარა სოფლებად და ხვნა-თესვას მიჰყვეს ხელი. ქურთინების სოფლებში სულ ორი-სამი კომლია. რაც უნდა დიდი სოფელი იყვეს ქურთისა, ათ კომლზე მეტი მაინც არ იქნება. მომეტებული ნაწილი ყარა-ფაფახებისა ცხოვრობს ლეპისის გაშლილ ველ-მინდორზე, არტაანის ოლქის გვერდით*). ლეპისში მშვენიერი საძოვარი მინდვრებია და იცის ნოყიერი ბალახი. აქაა აშენებული მოწითანო თლილის ქვის საყდარი გავეთისა და დაუსრულებელი უზარმაზარი ეკლესია კარზამეთისა. ეკლესიას შენობა დაუწყვია აწყვერის მღვდელ-მთავარს და კედლები რომ ამოუყვანია შესავალ კარის სიმაღლეზე, ლეპისი თურქებს დაუჭერიათ და შენობაც შეჩერებულა. კარზამეთისა და გავეთის მშვენიერ ეკლესიებს ვინ უპატრონებს დღეს? თარაქამამ რა იცის მისი ყადრი და ფასი? საქართველოს ეკლესიას რაკი საკუთარი მამული და ქონება ჩამოართვეს, სიღარიბის გამო, თავი აღარა აქვს რომ პატრონობა გაუწიოს და ჟამთა ვითარების წყალობით ორივე შენობა ოხრდება და ტიალდება.

ლეგენდა ამბობს, რომ თამარ დედოფლის ძროხის ჯოგი ლეპისის მინდვრებზე სძოვდაო და აქ მოწველილი რძე მილებით და ღარებით პირდაპირ ვარძიის გამოქვაბულ მონასტერში ჩადიოდაო. ისტორია მოგვითხრობს, რომ ვარძია დიდად უყვარდა თამარს და ხშირად აქ ატარებდა დროსაო.

---

*) ეს კუთხე შეცდომით ახალციხის მაზრაზეა მიწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხები. როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სომხები გადმოასახლა რუსის მთავრობამ 1830 წ. ჯავახეთში. უფრო დიდი ნაწილი გადმოსახლებულ სომხებისა აღიარებს წმინდა გრიგოლის სარწმუნოებას, ხოლო მცირე ნაწილი კათოლიკობის მიმდევარია. სომეხ კათოლიკენი დგანან ს. ალასტანს, ეშტიას, კულიკამს და კიდევ რამდენსამე სხვა სოფელს. ორთავე რჯულის სომხები მშვენივრად ლაპარაკობენ თათრულად. ქართულიც იციან იმათ, ვინც ქართველებთან დაბინავდა. მაგალითად ბარალეთის სომხობა ისევე კარგად ლაპარაკობს ქართულს, როგორც ქართველები. ისიც სათქმელია, რომ ჯავახეთის და საათაბაგოს ქართველობა კარგად ლაპარაკობს თათრულს. იციან აგრედვე სომხური თუ სომხებთან ერთ სოფელში ცხოვრობენ. ერთ კუთხეში მოქცეულ სხვა და სხვა ტომის ხალხს შუღლი არ მოსდით და მშვიდობიანად ეწევიან ცხოვრების ჭაპანს.

გრიგოლის სარწმუნოების სომეხს არ უყვარს სომეხი კათოლიკე. იმათაო, ამბობენ გრიგოლელები, სტუმარი არ უყვართ, სისუფთავეს არ ეტანებიან, ზნეობის სიფაქიზეს აგრე რიგად არ აფასებენ და საერთო, მეზობლურ ცხოვრებას გაურბიანო. ყველა თავის კერიისაკენ მიიწევსო.

ბავრისა ხულგუმოს და კართიკამის კათოლიკეთ სომხური არ იციან. ზოგნი ამბობენ, რომ ეგენი ქართველები არიან და გადმოსახლდნენ არტაანის ოლქიდან (ველი), ზოგნი-კი უჩვენებენ სომხეთის მუშს, საიდანაც ვითომ იგინი მოსულან. ველი ძველად ქართული პროვინცია იყო

სომეხ-კათოლიკეთ წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ და რომის წმ. პაპას ემორჩილებიან საეკლესიო საქმეებში. აი სწორედ ქართველი კათოლიკენი ამ სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე დგანან, ქართული წირვა-ლოცვა მოსპობიათ და გაუგებარ სომხურ ენაზე ისმენენ ღვთის მსახურებას.

ჯავახეთს ?ოსული სომხობა განთქმულია შრომის მოყვარეობით. ტანთსაცმელი სომხისა ისეთივეა, როგორც ქართველ ჯავახისა, ხოლო სომეხ ქალის ჩასაცმელი ცოტათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავდება ქართველ ქალის საცმელისაგან. სომხის ქალი იცვამს ლურჯ კაბას; კაბას წინიდან წითელი წინსაფარი აქვს აკრული. თავზე იხურავენ გასათხოვარი ქალები ოსმალურ ფესსა, ხოლო გათხოვილები ამავე ფესსა, მაგრამ ზედ ახვევენ შალ-ლეჩაქებს, შუბლზე იკეთებენ ჩვენებურ ჩიხტს, ოქროს ფულებით ახუნძლულს.

დუხაბორები. ჩამომავლობით დუხაბორები რუსები არიან (ველიკოროსი). ამათ უარჰყვეს წეს-რიგი რუსეთში გაბატონებულ მართლ-მადიდებელ ეკლესიისა, ხელი აიღეს ბერებზე და მღვდელ-დიაკვნებზე, ნათლობა-ქორწინებაზე ეკლესიურის წესით და თავისებურად დაიწყეს ღვთის სამსახური. დუხაბორებს დიდად სწამთ და უყვართ ღმერთი. მთავრობა გაუწყრა, როგორ თუ ბერები, მღვდლები, ეკლესია და ეკლესიური წესები არ გინდათო და აიღო და გადმოასახლა 1840 წ. ჯავახეთში. მაშინ ჩვენი საქართველო რუსებს ისე მიაჩნდათ, როგორც დამლუპველი ქვეყანა, საიდანაც რუსი კაცი შინ ველარ დაბრუნდებოდა ცოცხალი. ეხლა რუსები ისე ეტანებიან საქართველოს როგორც ბუზი თაფლს და ბაწარ-აღებით მოდიან ჩვენში, სადაც ჩვენც ველარ ვეტევით და სივიწროვით გული გვიწუხდება.

დუხაბორები დაასახლეს ჯავახეთის თოვლიან-ყინულიან მთის კალთებზე იმ განზრახვით, რომ გაწყვეტილიყვნენ. მთავრობას სძულდა ურჩი, პირქუში და შეუპოვარი დუხაბორი, მწვალებელი და უარის მყოფელი ეკლესიის გარეგან წესებისა, იმ წესებისა, რომელთაც დაჰფარეს და სავსებით ჩანთქეს სული და არსება კაცთმოყვარე ქრისტეანობისა. მთავრობას იმედი გაუცრუვდა, დუხაბორები არ გაწყდნენ, გაუძლეს სასტიკ ბუნებას და დღეს ისე კარგად ცხოვრობენ, რომ ქართველი დიდხანს ვერ მოესწრობა ამგვარ კეთილ-ცხოვრებას. მთავრობამაც ამ ჟამად აზრი შეიცვალა და დუხაბორებს დღეს თავზე ხელს უსვამს, რაც უნდა იყვეს მაინც რუსები არიან და მაშასადამე ჩვენი სისხლ-ხორცნიო.

დუხაბორებმა რვა სოფელი გააშენეს ჯავახეთის აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაწილში: ბოგდანოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, არლოვკა, როდიონოვკა, სპასკაია, ტამბოვკა და ტროიცკაია. ნაწილი მათი გადასახლდა ამერიკაში რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის წინად, მაგრამ არც ერთი დასახელებული სოფელი სავსებით არ დაცარიელებულა.

სასიამოვნო სურათს წარმოადგენს დუხაბორების სოფელი. ქუჩები სწორე და განიერია; კოხტა, თეთრად შეღებილი სახლები ლამაზად გამოიყურებიან. ეზო და კარ-მიდამო დიდია, სადაც ყოველგვარი ოჯახისთვის საჭირო შენობაა მოთავსებული. ასე გასინჯეთ ჯავახეთის ნაზუქი — წივა, ესეც კი კოხტად და მწყობრადაა დალაგებული. დუხაბორთა სოფლები სისუფთავით, რიგიანი შენობებით და საერთო კეთილდღეობით დიდად განირჩევიან ქართველ და სომეხ სოფლებიდან. იქ რომ სიმდიდრე და კეთილი ცხოვრებაა, აქ სიღარიბე და სიდუხჭირეა.

დუხაბორები შრომის მოყვარე ხალხია. „მუშაობა, ამბობენ დუხაბორები, სხეულს აპატიოსნებს, ხოლო სულს ამხანაგობას უწევსო.“ ქ·ლი და კაცი ყველა მუშაობს. დუხაბორმა ათასგვარი ხელობა იცის, წაღებსაც თვითონ იკერავს, ურემსა, ფურგუნს, გუთანს სულ თვითონ აკეთებს. სახლის აშენებაშიაც არავის იშველიებს. სოფლისათვის ყველა საჭირო ხელობა გამოუვა ხელიდან დუხაბორს, ამის გამო მარტო ნემსისა და მარილის საყიდლად თუ წავა იგი ბაზარში.

დუხაბორები ზნეობით ძალიან მაღლა დგანან, არ იციან რა არის ქურდობა, მრუშობა-გარყვნილობა და სხვა. ერთმანეთს ხალისით ეხმარებიან მუშაობაში. გაჭირვებულსა და ღარიბს სასოფლოდ ეხმარებიან: მოუხნავენ, დაუთესენ ყანას, მოუთიბავენ ბალახს, უყიდიან საქონელს და ამ სახით დაძაბუნებულ კაცს ფეხზე დააყენებენ ხოლმე.

დუხაბორები მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. თვითონ რომ ზორბა ტანისა არიან, ცხენებიც უშველებელის ტანისა ჰყავთ. ტვირთის საზიდად დუხაბორის ცხენს არაფერი შეედრება რუსებს 1877—1878 წ. ომი რომ ჰქონდათ ოსმალებთან, დუხაბორები ჯარისთვის ტვირთსა ზიდავდნენ ფურგუნებით და დიდძალი ფულიც იშოვნეს. აქედან დაიწყო მათი დაუშრეტელი კეთილდღეობა. დუხაბორებს მთავრობამ დიდი მამული და სათიბი ადგილები მიუზომა. ბუერი და ქერი აგრე რიგად არ მოდის დუხაბორიეში, მაგრამ თივა აუარებელი აქვთ.

ალ. ყიფშიძე.

(დასასრული ჯავახეთისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოზი ალექსანდრე

ეარშან გიორგობისთვეს, ისტორიაში განთქმულ შიო-მღვიმის ლავრაში—გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 83 წლისა, ეპისკოპოზი ალექსანდრე. ქართველი საზოგადოება სივარულით გამოეთხოვა განსვენებულ მღვდელმთავარს და დიდი წარჩინებით მიაბარა მისი გვამი საფლავს სრულიად საქართველოს სახელოვან მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებულ ტაძარში, რომელიც შეაკეთა და განაახლა თვით განსვენებულმა მწყემსთ—მთავარმა თავის ხარჯით და საფასით. დასაფლავების დროს სასულიერო და საერო ორატორებმა ბევრი წრფელი სიტყვა სთქვეს, მოიგონეს მისი კეთილი და სპეტაკი ხანგრძლივი ცხოვრება, აღსავსე დაუსრულებელ სიყვარულით სამშობლოსა და მოყვასისადმი. იქვე იყო განსვენებულის აღზრდილი მღვდელ-მთავარი ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა. უკანასკნელად ეამბორა იგი საყვარელ ბიძას და ათრთოლებული ხმით მოიგონა მისი კეთილი ზრუნვა და ამაგი.

მალე შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც დაობლდა ივერიის თავისუფალი ეკლესია. მოგეხსენებათ, რომ ობლისა და ქვრივის ცხოვრება სანეტარო არ არის. ბრალიანი და უბრალო სჩაგრავს ოხერსა და უპატრონოს, რადგან შემბრალებელი და გამკითხავი მათ არა ჰყავთ ასე დაემართა ივერიის ეკლესიასაც. აეხადა შარავანდედით მოფენილი გვირგვინი, გაიძარცვა, გაღატაკდა და სულით დაეცა. ტაძარნი და მონასტერნი, ეს ჩვენი წარსულის დროის აკადემია—უნივერსიტეტნი, საიდანაც ეფინებოდა უხვად ქართველ ერს მაღალ ზნეობის სწავლა-მოძღვრება და შუქი საერო განათლებისა და სადაც იზრდებოდნენ ქვეყნის მოჭირნახულენი მტკიცე ზნეობისა და ფოლადისებური ხასიათისა, ოხრდებოდნენ და იქცეოდნენ უპატრონობით და მოუვლელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი სწორედ ამ აკადემია-უნივერსიტეტების აღდგენას, შეალია თვისი ძალღონე და საფასი განსვენებულმა მღვდელმთავარმა. "განაახლა და გააპატიოსნა შიო-მღვიმის დიდებული ლავრა და იოანე ზედაზნელის მონასტერი. პირველს შესწირა 21,000 მანეთი, ხოლო მეორეს 11,700 მანეთი და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვი შეწირულებით უზრუნველ ჰყო მათი მკრთალი ა[illegible]ბობა მაინც*) ეს ალმაშენებლობაა მიზეზი, რომ ჩვენმა მწერლებმა ნ. თ. ხიზანაშვილმა, ილ. ფერაძემ და ა. ნატროშვილმა სიცოცხლეშივე დაარქვეს განსვენებულ მღვდელ-მთავარს „ალექსანდრე ალმაშენებელი“.

შესანიშნავი მეფე დავით ალმაშენებელი რკინის კაცი იყო, გარეშე მტერს ხმა ჩააწყვეტინა და მარჯვენა დაუდუნა, შინაური მოღალატენი მატლივით გასრისა, ერის ზნეობა აამაღლა, სწავლა-ცოდნით გაავსო სამშობლო, ციხე-ქალაქებით და ეკლესია-მონასტრებით მოჰფინა, ერთი სიტყვით ააყვავა და ააშენა საქართველო. ამ გზასავე ადგა განსვენებული მწყემსთ-მთავარი ალექსანდრე. მისი ხმალი იყო კეთილი და სათნოიანი ცხოვრება, უზომო სიყვარული სამწყსოსი და სამშობლოსი. ყველაფერი სამშობლოს და მოყვასსაო, რასაც შოულობდა და პოულობდა, სულ სხვისთვის ემეტებოდა. თვითონ კი იცვამდა და იხურავდა, როგორც უბრალო მწირი ბერი, საზრდოობდა პურით და მწვანილით. სასმელად ჰქონდა ცივი წყალი და სტუმართათვის ნობათად ქართლური პანტისა და ვაშლის ჩირი, კერკი და გაფშეკილი ქართლური ჩურჩხელა.

განსვენებული მღვდელ-მთავარი ალექსანდრე სრული განხორციელება იყო ძველის მოღვაწე-მოქადაგე ქართველ ბერისა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს სამშობლოს დიდებას ალევდა. ეკლესია და სამშობლო მაშინ ერთი და იგივე იყო. ბერის ბერობა იხატებოდა იმაში, რომ მუდმივ მოღვაწეობდა, მოქმედებდა, აშენებდა ეკლესია-მონასტრებს, მწერლობდა, ხელოსნობდა, ქადაგებდა, მოქალაქობდა. ასეთი საქმიანობა მიაჩნდათ ღვთის სამსახურად და აბა მაშინდელი ქართველი, მოტრფიალე ქრისტეს დიდებულ სწავლა-მოძღვრებისა რას დაზოგავდა და დაიშურებდა.

ბერი ალექსანდრე დიდი მოტრფიალე იყო სწავლა-განათლებისა და ცდილობდა შეეწყო ხელი ამ საქმისათვის. მომეტებული ნაწილი თვისის ავლა-დიდებისა ამ საქმეს მოახმარა, ზრდიდა თვისის ხარჯით ყრმათა და ქალთა. ამ აზრით

*) მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად შესწირა 1,500 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწირა ტფილისის სასულიერო სემინარიას 2000 მან. და ტფილისის საეპარქიო სასწავლებელს 3000 მან.

წარსული ჩვენი დიდება და განათლება ცხადად სჩანს იმ, აუარებელ ხელთნაწერებიდან. რომლებიც ბლომადაა შეკრებილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და საეკლესიო მუზეუმში. უფულობის გამო ვერავინ კისრულობს მათ დაბეჭდას, რადგან ხარჯი დიდი უნდა. ეს დიდი საქმეც იკისრა განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა და თვისის საფასით დაბეჭდა: „მზა-მეტყველება“ ანტონ კათოლიკოზისა, „ლექსიკონი“ საბა-სულხან-ორბელიანისა „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“ ავალიშვილისა, „სიტყვანი და მოძღვრებანი“ ამბროსი ნეკრესელისა, „ლექსიკონი“ რაფაელ ერისთავისა, „შიომღვიმის ისტორიული საბუთები“ და სხვანი.

ღვაწლ მოსილ, ეროვნულ, თავისუფალ ივერიის ეკლესიას, თავისუფლების დროსვე ამშვენებდა და ამკობდა მშვენიერი საეკლესიო გალობა, გულს ჩამწდომი და სასოების აღმძვრელი. ობლობასა და ქვრივობაში ეს განძიც დაჰკარგა ჩვენმა ეროვნულმა ეკლესიამ და დარჩა ამარად დიაკვნების უგემურ ვითომდა გალობისა. განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა არც ეს ფრიად მნიშვნელოვანი საგანი დასტოვა უყურადღებოდ და გადასდო 2000 მ. მის აღსადგენად და ნოტებზე დასაწყობად. ეს საქმე დაავალა მუსიკის მცოდნე იპპოლიტოვ—ივანოვს, რომელმაც უკვე შეასრულა ასეთი დავალება ივერიის ეკლესიის ჭირისუფლისა. დღეიდან ჩვენს საეკლესიო გალობას ხიფათი აღარ მოელის, რადგან იგი გადაღებულია და დაწყობილი ნოტებზედ ეპისკოპოზ ალექსანდრეს წყალობით.

ასეთი იყო განსვენებული ბერი ალექსანდრე, აღსავსე უზომო სიყვარულით სამშობლოსა და მოყვასისადმი, მისი მზრუნველი და მოჭირნახულე, კაცი სათნოიანი, წყნარი და თან გულადი და უშიშარი. ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ქედს არ იხრიდა და როცა საჭირო იყო, თამამად ამხილებდა და ულრახდა ხოლმე უნაყოფო ცხოვრებას. თ. ლევან მელიქიშვილის დასაფლავებაზე პირდაპირ სთქვა განსვენებულმა— ბევრის სიკეთის მოტანა შეგეძლო, რადგან იყავ ძლიერი და მდიდარიო, მაგრამ ისე მიიცვალე, რომ ქვეყანას არაფერი არგეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ცხოვრება განსვენებულ მღვდელ-მთავრის განუწყვეტელი სამსახურია დაობლებულ ივერიის ეკლსიისა და წამებულ სამშობლოსი. მადლიერი ერი არ დაივიწყებს თვის საყვარელ მწყემსს, მის მირონცხებულ მარჯვენას, სათნოებით და სიკეთით სავსე გულს და მამაშვილურ მზრუნველობას ჩვენდა სასიკეთოდ და ზნეობრივად აღსამაღლებლად. მართალი სთქვა „უკვდავმა“ ილია ჭავჭავაძემ, გამოთხოვების დროს, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში რომ გაისტუმრეს ტფილისიდან ეპისკოპოზი ალექსანდრე: „თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი კაცი, რომელიც გვწვრთნის და გვასწავებს ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცა, ამბობს ნატვრით ეროი ძველი ბრძენიო“.

სიცოცხლის დროს განსვენებულ მღვდელ-მთავარ ალექსანდრეს ქართველმა ერმა მიართვა ძვირფასი სამღვდელ-მთავრო კვერთხი ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ერობაში ალექსი ოქროპირიძე, დაიბადა ქართლში, ს. დისევში, 1824 წ. სწავლობდა გორის სასულიერო სკოლაში, შემდეგ ტფილისის სემინარიაში და სწავლა დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში ეპისკოპოზად აკურთხეს 1862 წ. ტფილისის საკათედრო სიონის ტაძარში. მღვდელ-მთავრობდა აფხაზეთში, გურია-სამეგრელოსა და ქართლში. სინოდმა მრავალი ჯილდო უწყალობა განსვენებულს, ხოლო მთავარ-ეპისკოპოზის ხარისხი მაინც არ მისცა.

ალ. ყიფშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

ფიზიოლოგიიდან

სისხლი და მისი შემადგენელი ნაწილები.

ადამიანის სხეული წარმოადგენს მეტად რთულ მანქანას, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობს. თუ დაჰკვირვებიხართ ჩვეულებრივ მანქანებს, შენიშნული გექნებათ, რომ მათი მუშაობისათვის საჭირო არის საწვავი მასალა: შეშა, ქვანახშირი, ნავთი და სხვ. უამისოდ მათი მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. რაკი ადამიანის სხეულიც მანქანაა, ცხადია, მისი მუშაობისათვისაც საჭიროა საწვავი მასალა. ამგვარ მასალას წარმოადგენს ერთი მხრით ის სასმელ-საჭმელი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ჭლებულობს პირით, მეორე მხრით ის მჟავბადი, რომელიც ფილტვებში ჩასუნთქულ ჰაერიდან სისხლში გადადის. სასმელ-საჭმელი გადადის კუჭში, აქ ნელდება, მიდის ნაწლავებში და აქედან სასარგებლო ნაწილი სისხლში შედის, უვარგისი-კი ისევ გარეშე ბუნებას უბრუნდება. ამგვარად სხვა და სხვა ნივთიერება გარეშე ბუნებიდან ორი გზით შედის ადამიანის აგებულებაში: პირველ გზას წარმოადგენს პირი ⁄ კუჭ-ნაწლავები, მეორეს ფილტვები. ამ ორივე გზიდან მთელი მიღებული ნივთიერება თავს იყრის სისხლში. რადგანაც გარედან მიღებული მასალა ჩვენი სხეულის ყველა ნაწილისათვის არის საჭირო, აქედან ცხადია, რომ სისხლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამილებული ნივთიერება უნდა მიუტანოს ტანის ყველა ნაწილებს. სისხლი მოძრაობს, ადამიანის სხეულში ტრიალებს და ამ ტრიალის დროს სისხლს და ჩვენი ტანის სხვა და სხვა ნაწილებს შორის ერთგვარი აღებ-მიცემა სწარმოებს: სხეულის სხვა და სხვა ნაწილებს მიაქვთ სისხლიდან ეს მასალა, რაც საჭიროა მათი სიცოცხლისა და მოქმედებისათვის, ამის მაგიერ-კი სისხლს აძლევენ უკან ყოველიფერს, რაც უვარგისია, ან მათი მოქმედებისათვის გამოუსადეგარი. ამგვარად სისხლი აძლევს ტანის ნაწილებს ყოველიფერს, რაც მან გარეშე ბუნებიდან მიიღო ფილტვების და ნაწლევების საშუალებით, და აგროვებს სამაგიეროდ სხვა და სხვა მაგარს, თხელსა და ჰაერგვარ ნივთიერებას სხეულის ნაწილებიდან. ამ უვარგის მასალას რა გზით იშორებს სისხლი თავიდან? მაგარსა და თხელ უვარგის ნივთიერებას აცლიან სისხლს **ჭაჭები** და საოფლე ჯირკვლები, ჰაერგვარ ნივთიერებას-კი აცლიან ფილტვები და კანი. ამგვარად სისხლს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. სისხლი შუამავალია გარეშე ბუნებასა და ადამიანის სხეულს შორის. უსისხლოდ ჩვენი სხეული ვერ ისარგებლებდა გარეშე ბუნებიდან ყველა იმ მასალებით, რომლებიც მისი მოქმედებისათვის საჭირონი არიან; მაშინ-კი სიცოცხლეც შეუძლებელი იქნებოდა. ამგვარად სისხლი არის სიცოცხლის მატარებელი: ადამიანი რომ სისხლისაგან დაიცალოს, მისი სიცოცხლეც მყისვე მოისპობა. სისხლი იმყოფება სასისხლე მილების სისტემაში. ეს მილები დაქსაქსული არიან ჩვენი აგებულების ყოველ ნაწილში, ყოველ ასოში და მათში შეუჩერებლად მოძრაობს სისხლი.

სისხლი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველია სითხე, წბული ანუ პლაზმა, მეორეა მაგარი ნაწილები ანუ სისხლის სორსლები. რა მნიშვნელობა აქვს წბოლს და რა სორსლებს? სასმელ-საჭმელი მონელების შემდეგ გადადის სისხლში და უერთდება სისხლის წბოლს; წბოლს-კი მიაქვს ის ჩვენი სხეულის სხვა და სხვა ნაწილებთან და სამაგიეროდ ართმევს მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვარგის ნივთიერებას. სისხლის სორსლები ორ ნაწილად განიყოფებიან: წითელ და თეთრ სორსლებად. როდესაც სისხლი ფილტვებში ადის, წითელი სორსლები აცლიან ფილტვებში ჩასუნთქულ ჰაერს მჟავბადს და ურიგებენ მას ტანის სხვა და სხვა ნაწილებს. წითელი სორსლების უმთავრეს ნაწილს შეადგენს ეგრეთ წოდებული ჰემოგლობინი. ჰემოგლობინი საღებავსავით გამხდარი აქვს სისხლის წითელ სორსლებს და თუ სისხლს წითელი ფერი აქვს, ეს ჰემოგლობინის წყალობითაა. ჰემოგლობინის უმთავრესი თვისება ის არის, რომ ის იზიდავს მჟავბადს; უამისოდ ჩვენი აგებულება მჟავბადს ვერ მიიღებდა ჰაერიდან, უმჟავბადოდ-კი სიცოცხლე შეუძლებელია. წითელი სორსლები მეტად პატარა ზომისა არიან. ნემსის წვერით რომ სისხლი აიღოთ, ამ ერთ პატარა წვეთ სისხლში უკანასკნელი ხუთი მილიონი წითელი სორსოლია. წითელ სორსლებს გარდა სისხლში არის თეთრი სორსლები. ესენი ზომით წითელ სორსლებზე მეტი არიან, ხოლო რიცხვით-კი ნაკლები,—სამას წითელ სორსალზე მოდის მხოლოდ ერთი თეთრი სორსალი. რა მნიშვნელობა აქვთ თეთრ სორსლებს? ესენი წარმოადგენენ ჩვენი აგებულების პოლიციას, მესამე განყოფილებას ანუ ჯაშუშებს და ჯარს, არც მეტი არც ნაკლები! როგორო, იკითხავს მკითხველი. აი როგორ. ბუნებაში არსებობენ პატარა ბაცილები, რომლებიც იწვევენ სხვა და სხვა სნეულებას; ყვავილი, სახადი, მუცელა, წითელა, ყელჭირვება, ქუნთრუშა და სხვა სულ ამ წყეული ბაცილების საქმეა. ადამიანის თვალს მათი გარჩევა არ შეუძლია, რადგანაც ისინი მეტად დალეული არიან. სამაგიეროდ ძალა დიდი აქვთ და დიდი ზარალის მოტანა შეუძლიათ. თეთრი სორსლები სულ იმის დარაჯში არიან, რომ ეს ბაცილები არსაიდან შემოეპაროთ. როგორც-კი გაჩნდებიან ტანში რომელიმე ალაგს მავნე ბაცილები, თეთრი სორსლები მაშინადვე გაექანებიან იქითკენ, შემოეხვევიან მჭიდროდ გარშემო და შეიქნება ბრძოლა. თუ თეთრი სორსლები მოერევნენ, გადაჭყლაპავენ ბაცილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსპობენ მათ და ამგვარად სნეულებას ჩააქრობენ. ხოლო თუ ბაცილები მოერივნენ, მაშინ ისინი გამრავლდებიან, გავრცელდებიან სხეულში და ადრე თუ გვიან სიცოცხლეს მოუსპობენ.

სისხლში ამათ გარდა არის კიდევ ერთგვარი სორსლები, რომლებსაც ბიზოსეროს აბზინდებს უწოდებენ, რადგანაც ისინი პირველად ბიზოსერომ აღმოაჩინა სისხლში, ხოლო ამათი მნიშვნელობა ჯერ-ჯეროობით გამოურკვეველია.

წონით სისხლი შეადგენს ადამიანის მეცამეტე ნაწილს; მაგალითად თუ ვინმე იწონის ოთხ ფუთს, მას ექნება დაახლოებით თორმეტ გირვანქა ნახევარი სისხლი. აქედან ნახევარს იწონის სისხლის წბოლი, ნახევარს სორსლები.

დიდი ადამიანის აგებულებაში სისხლი არ იცვლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში: მას არც აკლდება და არც ემატება. ამავე დროს წითელი და თეთრი სორსლები შეუჩერებლად ძველდებიან, იშლებიან და ისპობიან. დაშლილი სორსლები თავს იყრიან ღვიძლში. ნაღველი მზადდება ღვიძლში; ნაღველის ერთ უმთავრეს ნაწილს შეადგენს ერთგვარი საღებავი, რომელსაც ეწოდება ნაღველის პიგმენტი. აი სწორედ ამ ნაღველის პიგმენტს ამზადებს ღვიძლი დაშლილს სორსლებიდან. სისხლის სორსლები თუ შეუჩერებლად იშლებიან, ცხადია მალე უნდა დადგეს ისეთი დრო, როცა სისხლს სრულებით გამოელევა სორსლები. ეს ასეც მოხდებოდა, რომ ადამიანის აგებულებაში არ იყვნენ ისეთი ნაწილები და ასოები, რომლებიც ამზადებენ შეუჩერებლად ახალ-ახალ სორსლებს. რომ გატეხოთ ქათმის ან საქონლის მოგრძო ძვლები, დაინახავთ, რომ ძვალი სავსეა სქელ ნივთიერებით ანუ ძვლის ტვინით. ამგვარი ტვინი ბლომად მოიპოება ადამიანის ძვლებში და წითელი სორსლებიც სწორედ ამ ტვინში ჩნდებიან. მუცელში მარცხნით კუჭის გვერდით ადამიანსა აქვს ეგრედწოდებული ელენთა ანუ ტყირპი, რომელმაც განსაკუთრებით იცის ჩამოსიება ციებ-ცხელების დროს. სისხლის წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სორსლები და ზოგი მეცნიერის აზრით თეთრი სორსლები სხვათა შორის ელენთაშიც მზადდება. ადამიანის სხეულში ბლომად არის პატარ-პატარა თხილივით რგვალი ჯირკვლები. თეთრი სორსლები ამ ჯირკვლებში ჩნდებიან. სისხლს ნელ-ნელა წბოლიც აკლდება, ხოლო ამ დანაკლისს ის ივსებს მიღებულ საზრდოდან. როგორ ტრიალებს სისხლი ჩვენს ტანში, ამას შემდეგ წერილში განვიხილავთ.

ივ. გომართელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოტანიკური საუბარი

ინდა მოკლედ აგიწეროთ მცენარეთა და მათ შორის მხოლოდ ხეების ცხოვრება. მაგრამ განა შეიძლება უსულო არსებას, ხესაც ცხოვრება შეეძლოს? ცხოვრება ცხოველს შეუძლიან, სად ხე და სად ცხოვრებაო, იტყვიან. რომ მცენარეებიც ცხოვრობენ, ეჭვი არ არის: იგინი იკვებებიან, იზრდებიან, მრავლდებიან; ზოგიერთ მცენარეს მოძრაობაც-კი შეუძლიან: ბევრს მათგანს სხვასთან ერთად ეხერხება ცხოვრება, ზოგიკი მარტოობას რჩეობენ; არიან ისეთი მცენარეებიც, რომელნიც მწერს იჭერენ და იმის ხორცით იკვებებიან.

მცენარეებს შეადგენენ: ბაქტერია, სოკო, ჩადუნა, ბალახი, ჩირგვი, ბუჩქი და ხე. ჩვენი საუბარი შეეხება მხოლოდ ბალახებს, ჩირგვებს, ბუჩქებს და ხეებს, რომლებიც ყვავილების საშუალებით მრავლდებიან. იმ მცენარეებს, რომელნიც ცხოვრობენ არა უმეტეს ერთის ან ორი წელიწადისა, ბალახეულობას უწოდებენ. ამ ხნის განმავლობაში ბალახი ღივდება თესლიდგან, იზრდება, ყვავდება, იკეთებს თესლს და მერე ხმება-კვდება. ბალახი მხოლოდ ერთხელ ყვავის თავის სიცოცხლეში. მაგრამ მრავალ წლოვანი ბალახიც არის. გამოჩენილი პროფესორი ბეკეტოვი ამტკიცებს, თვალგადაუ-ვდენელ მინდვრებში მოფენილი ძურწა ისევ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის დროის მწყემსები სთელავდნენო; ძველი ფესვი არსებობს და ახალ-ახალ ყლორტებს იღებსო. რადგან ამ შემთხვევაში მთელი მცენარე-კი არ ცოცხლობს, მხოლოდ მისი ნაწილები, ამიტომ ნამდვილ-მრავალ წლოვან-მცენარეებს შეადგენენ ჩირგვები, ბუჩქები და ხეები, რომელთაც ხშირად მეტად დიდი ხნის ცხოვრება აქვთ. მეცნიერება არც-კი არის დარწმუნებული, რომ ხეები აუცილებლივ უნდა დაბერდნენ და მერე გახმნენ — როგორც, მაგალითად, ბერდებიან და იხოცებიან ცხოველები. ხშირად შეხვდებით ხეებს, რომელნიც 6000 და მეტი წელიწადი უცხოვრიათ და ჯერაც არა უშავთ რა.

ერთი ამისთანა დიდი ხნის ხე დგას კუნძულ ტენერიფზედ (აფრიკის დასავლეთით) სახელად „გველვეშაპის ხეს“ ეძახიან (Draca nta Draco) ამისთანა ხე პირველად ჰუმბოლტმა ასწერა. გარშემო 7 საჟ. აქვს, სიმაღლით 11 საჟენია. ჰუმბოლტის აზრით ეს ხე 6000 წლისა უნდა იყოს. თვით ჩვენს ქვეყანაში შეხვდებით ათასი წლის მოხუცებულ ჭანდარს, მუხას, წაბლსდა სხვ. ამ უენო მატიანეებს უნახავთ ჩვენი დიდება თამარ-მეფის ხანა, ზოგი მათგანი ქრისტეს ღაბადებასაც მოსწრებია. ვინ იტყვის, რომ ამ ხეე-

გველვეშაპის ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქვეშ არდაუსვენია ბრძოლით დაქანცულს და გამარჯვებულს თამარ მეფის ლაშქარს? ვინიტყვის, რომ შემდეგში ეს უბერებელი მოწმენი არ დაესწრებიან უფრო უკეთესს და ბედნიერ ხანას, ვიდრე ჩვენი დრო არის. მაგრამ ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე ყველა ხეს არ ეღირსება. უმრავლესობა უდროოდ ხმება და კვდება. ხეების ავადმყოფობას იწვევენ სოკოები, რომელნიც მერქანით იკვებებიან და აფუღუროებენ ღეროს და ტოტებს. გარდა ამისა ქარი ხშირად ულეწავს ტოტებს, ძირიანად სძრავს, უწყვეტავს ფესვებს და ამით ძალზედ ასუსტებს თვით ხესაც. დიდ ზარალს აძლევს აგრეთვე მეხი, ზოგჯერ უდროვო სიცივე, ან სიცხე, გვალვა, მწერი, რომელიც უჭამს ფოთოლს და ულრნის შტოს და ტოტებს; ფრინველები და ნამეტნავად ცხოველები, რომლებიც უჭამენ ნეკერს და აძრობენ ქერქს; მაგრამ უსაშინელესი მტერი ხისა კაცია, რომელიც ხშირად უწყალოდ სჩეხავს საუკუნოებით აღრზდილს ხეს. საშუალო სიცოცხლე ჩვენი ტყის ხეებისა უდრის 500—800 წელიწადს. არიან იმისთანა ხეებიც, რომელნიც ადამიანზე მეტს ვერა ცოცხლობენ; მაგალითად ზოგიერთი ჯიშის წნორი ორმოც წელიწადს ძლივს უწევს.

აგრეთვე ხე ბუჩქი და ჩირგვიც გაირჩევა ბალახისგან იმითაც, რომ ხეს უმაგრდება, უხევდება შტო, ტოტები და ფესვები, ბალახს კი ეს ნაწილები არ უხევდება. ბუჩქები და ჩირგვები შედარებით ხეებთან მალე ბერდებიან, შტო ძალიან მოკლე აქვთ, ტოტები თითქმის ძირიდანვე ამოსდით. სიმაღლითაც განირჩევიან: ხე შეიძლება თვალ აუწვდენელი მაღალი გაიზარდოს, ბუჩქი და მეტადრე ჩირგვი-კიმიწას ძლივს ასცილდება. შემდეგში უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ ხის ცხოვრებას და დავიწყოთ თესლიდგან.



მითოლოგია

ტროადას ომი

ელლინთა მთავარ სარდლის სიზმარი

ღმერთების მამა მთავარს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ზევსი სულ იმის ფიქრში იყო, ფეტიდა ქალღმერთის თხოვნა როგორმე აესრულებინა და მწუხარე აქილისათვის ძველი დიდება და სახელი აღედგინა. ღმერთების მამამთავარს ჰსურდა დაემტკიცებინა ელლინთა მხედრობისათვის და კერძოდ მის მთავარსარდლის აგამემნონისათვის, რომ მძლეთა მძლე აქილის ტყუილ-უბრალოდ, სრულიად დაუმსახურებლად შეურაცყოფა დაუსჯელად არ ჩაუვლიდა ელლინთა მხედრობას.

ზევსმა თავისი სურვილის გასახორციელებლად ელლინთა მთავარ სარდალს მოუვლინა ღრმა ძილი. აგამემნონს ტკბილად ეძინა თავის სამხედრო ბანაკში. ძილში მთავარსარდალს გამოეცხადა ზევსის შიკრიკი მოხუც ნესტორ პილოსელის სახით. ტკბილად ზოუბარმა ნესტორმა ესეთი სიტყვებით მიმართა აგამემნონს: „დიდებულო მთავარ სარდალო, განა ახლა ძილის დროა! განა მთელის ღამით ძილი შეშვენის მას, ვისი მხნეობა და მფარველობა ასე სანუკარია მთელელლინთა მხედრობისათვის! ელლინთა მხედრობის სრული იმედი შენზეა, მთავარ სარდალო, დამყარებული, მთელი მხედრობა შენ შემოგცქერის, შენს მხნეობაში პოულობს ილიონის ზღუდეთა შეგმუსრავ ძალას, და შენზედ ამყარებს ტროადელებზედ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვების იმედს, და შენ კი ამ დროს ტკბილად გძინავს, თითქო პრიამოსის სამეფო უკვე დაგეძლიოს, გაგენადგურებინოს! დიდებულო მთავარსარდალო, იცოდე, რომ ამ ჟამად ოლიმპის მფლობელთა შორის არავითარი უთანახმოება არ არსებობს ომის ელლინთა მხედრობის სასარგებლოდ დამთავრების შესახებ! ზევსის მეუღლის ჰერას მეცადინეობით ამ ჟამად ყველა ღმერთები ლმობიერი თვალით შესცქერიან ელლინთა მხედრობას და ყველანი ერთხმად გამარჯვებას გილოცავენ! აღსდეგ, გმირთ გმირო, შერაზმე მთელი შენი მხედრობა და უშიშრად გაილაშქრე მტერზედ! გახსოვდეს, რომ ამიერიდან პრიამოსის სამეფოს დღეები დათვლილია, გახსოვდეს, რომ ილიონის ზღუდეებს აუცილებელი განადგურება მოელის“!

ამ სიტყვების შემდეგ ტკბილად მოუბარი ნესტორი დაუყოვნებლივ განშორდა მთავარ-სარდლის სამხედრო კარავს. სიზმრით შეშფოთებულს აგამემნონს ერთბაშად გამოელვიძა. ელლინთა მთავარ-სარდალი ჩამოჯდა სავარძელზედ, და ფიქრობდა, რას მოასწავებს ეს სიზმარიო? გამოერკვა ცოტათი თუ არა, აგამემნონმა ტანთ მოისხა ახლად მოქსოვილი შვენიერი ტანსაცმელი, შემოიკრა ვერცხლივით ბრჭყვინავი ფეხთსაცმელი, მხარზედ ჩამოიკიდა ვერცხლის ტარიანი ხმალი, ხელში დაიჭირა სამეფო კვერთხი და ტკბილად მოუბარ ნესტორისაკენ გაემგზავრა, რომ მისთვის ეამბნა ამალამის სიზმრის შინაარსი. ელლინთა მთავარ-სარდალი განუსაზღვრელ პატივსა სცემდა მოხუც ნესტორს და კიდევაც ამიტომ გაეშურა მასთან, რომ გაეგო ამ მოხუცის ბრძნული აზრი სიზმრის შესახებ.

მთელს ელადაში სახელგანთქმულმა და ყველასაგან საყვარელმა პილოსელმა მოხუცმა ყურადღებით მოისმინა აგამემნონის მიერ ნაამბობი სიზმარი და გადაჭრით უწინასწარმეტყველა მთავარ-სარდალს ტროადელებზედ სრული გამარჯვება.

ტკბილად მოუბარი ნესტორი ასე ამხნევებდა ელლინთა მთავარ-სარდალს: „ელლინთა ძლევა მოსილო მთავარ-სარდალო! დაუყოვნებლივ გარს შემოიკრიბე ყველა წარჩინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდლები და მთელი მხედრობა! შთააგონე ყველას, რომ ელლინთა დიდებულს მხედრობას არ შეშვენის მტერს სამარცხვინოდ ზურგი უჩვენოს! ელლინთა მხედრობის მამაცობა განთქმულია! ილიონის მიუვალი და მაგარი კედლები ელლინთა მხედრობის მამაცობას წინ ვერ აღუდგებიან! პრიამის სამეფოს დღენი დათვლილია, მით უფრო, რომ ოლიმპის მფლობელნი დახმარებას გვიქადიან! მაშ, ძლევა მოსილო მთავარსარდალო, დაუყოვნებლივ გაილაშქრე მტერზედ იმ იმედით, რომ ელლინთა მხედრობა, თუ იგი წინანდელს მხნეობას არ ულალატებს, პრიამის სამეფოს ერთიანად გაანადგურებს და მით ელლადის ამ ჟამად შეურაცყოფილს სახელს ღირსეულად აღადგენს“!

აგემემნონის სიხარულს ამ სიტყვების შემდეგ საზღვარი არა ჰქონდა, იგი დაუყოვნებლივ მხედრობისაკენ გაეშურა.

სამხედრო ბანაკის შუა ადგილას აგამემნონმა მოიწვია ყველა რაზმების მთავარსარდლები და მთელი ელინთა მხედრობა. ყველანი სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ მთავარსარდლის გამამხნევებელ სიტყვებს. აგამემნონმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

„გახსოვდეთ, ძლევა-მოსილო მხედრობავ და დიდებულო სარდლებო, რომ პრიამის სამეფოს დამხობა ელლადის სახელის აღდგენას და ძლიერებას მოასწავებს! ვისაც თავისი სამშობლოს პატივის ცემა აქვს, ვისაც გულში უღვივის სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი, ვისაც ჯერ კიდევ საერთო კეთილდღეობისათვის მედგრად გული უცემს, იგი უეჭველია ელლინთა საერთო საქმეს არ შეაფერხებს და მედგრად, თავდავიწყებით შეებრძოლება დღეს მტერს და უეჭველ გამარჯვებას დაულოცავს ელლინთა მხედრობას! ესეთს მამაცობას თუ არ მოვაკლებთ ჩვენს საერთო საქმეს, ელლინთა სამხედრო დროშის წინაშე თავს მოიხრის პრიამის სამეფო! დიახ, ჩვენი ძლევა მოსილი მხედრობის გამარჯვება უეჭველია, ხოლო მეტი ერთსულობა, მეტი ერთგულობა და წინანდებური „ჩვენებური“ მამაცობა! ახლა-კი, დაბრუნდით თქვენს კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებში. კარგად ისადილეთ, მაგარი სასმელებით მოიკრიბეთ ძალღონე მოსალოდნელ ომისათვის! დაამზადეთ ყველამ შვილდ ისრები, ფარები, გააალმასეთ შუბები, საკმარისად გააძლეთ ცხენები, რადგან მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ უნდა ვეომოთ ჩვენს მოსისხლე მტერს! ერთს წამსაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძლიერ მტერთან გვაქვს საქმე! მაგრამ ამასთანავე ისეც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შეთანხმებული ერთსულობა და ერთგულობა აუცილებლივ სძლევს მტრის ძლიერებას!“

აღტაცებაში მოიყვანეს აქეველები აგამემნონის გამამხნევებელმა სიტყვებმა. მხედრობამ მხიარულად ყიჟინა დაჰკრა და ერთხმად თანხმობა გამოუცხადა თავის საყვარელს მთავარ სარდალს: „ან სიკვდილი და ან გამარჯვებაო“ ყველანი ამის შემდეგ დაუყოვნებლივ თავ-თავის სამხედრო კარვებისაკენ გაეშურნენ, რომ ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირათ და თანხმად მთავარსარდლის დარიგებისა ომისათვის თავდარიგი დაეჭირათ.

ელლინთა მხედრობის მთავარ სარდალმაც შესწირა ღმერთებს სათანადო მსხვერპლი და სამსხვერპლო ნადიმზედ მიიწვია აქეველების წარჩინებული სარდლები— ნესტორი, იდომენეუსი, ორთავე აიაქსი, დიომედესი, მენელაოსი და ოდისევსი.

როცა სამსხვერპლო ზვარაკი მზად იყო, ელლინთა მხედრობის მთავარსარდალმა საკურთხევლის წინაშე აღაპყრო მაღლად ხელები და სასოებით შესთხოვა ოლიმპის მფლობელს: „ღმერთების მამა-მთავარო, ბრწყინვალე და დიდებულო ზევსო! სანამ მზე დიდებულად ჩაესვენებოდეს და წყვდიადი დედამიწას მოიცავდეს, მომეც შეძლება ილიონის ზღუდეთა ბჭის კარები გამანადგურებელ ცეცხლის ალში გავხვიო, მიწასთან გავასწორო პრიამის სასახლე, ნაკუწ-ნაკუწად ვაქციო დიდებული ჰექტორი და ერთიანად ვსძლიო პრიამის ყველა მოკავშირე ხალხებს!“

მსხვერპლის შეწირვის შემდეგ აგამემნონმა გასცა ბრძანება—ელლინთა მხედრობა საომრად შეკრებილიყო. ელვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისწრაფით გავრცელდა აგამემნონის ბრძანება აქეველთა მხედრობის შორის. ყველანი მხიარულისა და ბრწყინვალე სახით თავდავიწყებით მიეშურებოდნენ დანიშნულს ადგილისაკენ, საიდანაც საერთო იერიშით მტერზედ უნდა გაელაშქრათ. თვითეულ მეომარის სახეზედ განუსაზღვრელი სიხარული და სიმამაცე იხატებოდა, თითქო სადღაც სადღესასწაულოდ მიეშურებოდნენო: შვენიერს სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს ელლინთა მხედრობა, რომელსაც არწივივით თავს დასტრიალებდა ძლევა მოსილი გმირთა გმირი აგამემნონი და თავის მამაც გამომეტყველებით მხედრობას ერთი ორად ამხნევებდა.

ძლევა მოსილს ელლინთა მხედრობას მტერზედ გამარჯვება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ოლიმპის მფლობელი ღმერთების მამა მთავარი-კი ამ დროს სულ სხვაფრივ ბჭობდა და სულ სხვანაირ ბოლოს უქადდა ელლინთა მხედრობის გალაშქრებას.

ა. მიქაბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

(თარგმანი)

ეს ძღარბი მშვენიერი მოსართავი იქნება შობის ხისთვის. ნაძვის კონკრიჟა რამდენიმე დღე ოთახში შევინახოთ, რომ კარგად გახმეს და წვრილი უჯრები გაიხსნას. აიღეთ ფერადი მატყლის ძაფი, ერთი წვერი ამ ძაფისა დაამაგრეთ ქინძისთავით ერთ თავში, დაატარეთ აქედამ წამოღებული ძაფი უჯრების ძირში, მეორე თავამდინ წალმა და უკუღმა, სანამ ძაფი ბადესავით არ გადაეკვრის მთლად გარეშემო.



იგივ ფერადი ძაფი დაგრიხეთ, ჯ ერთი წვერი ერთ თავში დააბით ქინძისთავით და მეორე მეორეში. იმისივე ფოჩები გაუკეთეთ. თუ გინდათ, რომ თქვენი ძღარბი უფრო ძალიან დაეგვანოს ნამდვილ ძღარბს, ქინძისთავები ჩაურჭეთ უჯრების იმ ალაგს, სადაც ძაფები ჯვარედინდება.

ს. რომანიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტი მგზავრები

(თარგმანი)

ორი მგზავრი მიდიოდა ეტლით. ისე ჩაფიქრებულიყვნენ ორივე, რომ ვერც-კი შენიშნეს, როგორ შედგნენ ხიდზედ, ერთი ერთის მხრით, მეორე-მეორე მხრით. ხიდი ისე ვიწრო იყო, რომ ეტლები ერთმანეთს გზას ვერ აუქცევდნენ; ერთ-ერთს უნდა უკან დაეხივნა. უკან დახევნა ადვილი იყო, რაკი ის ის იყო შედგნენ ხიდზედ, მაგრამ ძნელი იყო დათმობა: არც ერთი იხევდა უკან, არც მეორე. იდავეს, იდავეს, ბოლოს დაჩუმდნენ. დგანან ერთმანეთის პირდაპირ ხიდზედ. ერთმა ჩიბუხი გაიკეთა და, თითქოს აქ არაფერიაო, ააბოლა; მეორემ-კი გაზეთი ამოიღო, გაშალა და კითხვა დაუწყო. დაინახა ეს პირველმა და სთხოვა: „გეთაყვა, როცა გაათავო, ეგ გაზეთი მე დამითმე წასაკითხადო“. ეხლა-კი დარწმუნდა, მეორე მგზავრი, რომ თითონ თუ ჯიუტი იყო, მისი მოპირდაპირე უფრო ჯიუტი ჩნდა, დაიწია უკან, და მგზავრები მშვიდობიანად გაუდგნენ თავთავიანთ გზას.

ვასო ჯაფარიძე

გამოცანები

ალავი ლავი, ქათამი შავი.
ავგლიჯე მხარი, შევჭამე თავი.

—

მიდის და მოდის ქარვანი, არ ვიცი სადაურია;
მაღლა ასხია ეკალი; ძირს სცვივა ბროწეულია.

რებუსი

რედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია საგანგებო წიგნებისა

„ალი“ და „ქაჯანა“

სურათები სოფლის ცხოვრებიდან ნ. ლომაურისა.

„ალსაც“ და „ქაჯანასაც“ სიამოვნებით წაიკითხავს ყოველი მოზრდილი ბავშვი და გაიგებს, რანაირი ცრუ-მორწმუნოება და მავნე ჩვეულება სჭირს ქართველ გლეხს, მიხვდება რომ „ალის“ და სხვა ამისთანა მავნე სულის არსებობა სჯერა მხოლოდ იმას, ვინც უსწავლელია, უვიცი და გონებით ბნელი.

„ალში“ ნაუმბობია სიმონას ოჯახის გაჭირება და მრავალი უბედურება, რომელიც ამ უბედურს დაუტეხია ალის, ავი სულის, შიშით, იმის ცრუმორწმუნეობით ზაქარია დიაკვანი შეუჩნდა სიმონას ოჯახს, ალის შიში უფრო გაუზვიადა, ოჯახი ამოუწყვიტა, და თითონ ხელში ჩაიგდო იმისი სახლ-კარის ადგილი.

„ქაჯანაშიაც“ ცრუ-მორწმუნოებამ და იმისგან გამოწვეულმა შიშმა კაცობამ დაღუბა კიკოლას ოჯახი და იმისი ერთად ერთი იმედი ქაჯანა.

ორივე მოთხრობა ტოტხლად დახატული სურათებია ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, მშვენიერი ქართული ენით დაწერილი და ყოველ საბავშვო ქართულ წიგნ-საცავის აუცილებელ კუთვნილებას უნდა შეადგენდეს.

ქ. ყ—ანი.

„ყურნალ „Семья и Школа“-ს შარშანდელ ივლისის წიგნში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო ზღაპარი „მაიმუნი და მედუზა“. ზღაპარი ინგლისურად არის წოდებული და თარგმნილია ინგლისურით.

ეს ზღაპარი დიდი ხანია არსებობს ჩვენს მწერლობაში (ქილილა და დამანა გვ. 345), ოღონდ აქ მედუზის წილ კუ არის გამოყვანილი, და კიდევ კარგი, რომ არავინ შემოგვთავაზა იმისი თარგმანი.

ქილილა და დამანა როგორც შინაარსით, ისრე ენით ძვირფასი განძია მსოფლიო მწერლობისა და კარგს იზამდა წერა-კითხვის გ. საზოგადოება, რომ მკითხველისთვის ამ წიგნის გაცნობა გაეადვილებინა. ამისთვის საჭიროა შემოკლებული სახალხო გამოცემა, რომელში არც მომქმედ პირთა საუბარი იქნება, არც საბა-სულხანის უვარგისი ლექსები, არამედ მარტო არაკები.

დაინტერესებული მკითხველი თითონვე მოსძებნის სრულს „ქილილა და დამანას“ და გაიცნობს იმ აზრებს, რომელთა დასასაბუთებლად მოყვანილია მეფის ვახტანგის დიდებულ თარგმანში ეს არაკები.

ი. მ—ანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერ„:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**
გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**